დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ კეშელავა-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. მელანო ზოიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ხათუნა ტოტოჩავა-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. მარიამ ჯვარიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
4. ხათუნა წიკლაური-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ნანა ნიკოლაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
6. მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. მეგი კაპანაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ლელა მანგოშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
9. მადონა ბობოხიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
10. მურად ფახურიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)	**248417663**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საიდენტიფიკაციო კოდი	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
იურიდიული მისამართი	ქ.ბათუმი,მამია ვარშანიძის ქუჩაN209,ზედაღელის ქუჩა N7
ფაქტობრივი მისამართი	ქ.ბათუმი,მამია ვარშანიძის ქუჩაN209,ზედაღელის ქუჩა N7
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi28@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 2 23 0001052879 30/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 16 ოქტომბერი-17 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბათუმი,მამია ვარშანიძის N209,ზედაღელის ქუჩა N7
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბათუმი,მამია ვარშანიძის N209
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბათუმი,მამია ვარშანიძის N209

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ **არ** შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 640	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.საბაზო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3	***პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით***	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია თანამშრომელთა ნაწილს,რომლებმაც ვერ წარმოადგინ „ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა (ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვ ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლებ ჩამორთმევის“ შესახებ ცნობები წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადებში* ***2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.***
ინდიკატორი 3.1.2.4	***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;***	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია,რომ დაწესებულებაში დასაქმებული* ***ექიმი ფლობდეს*** *დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატს (პედიატრი,საოჯახო მედიცინა, ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი)* ***2024 წლის 01 იანვარი***
ინდიკატორიN3.4.1.1	***სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;***	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვა.კერძოდ:*** *1. წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა (ზედაღელის N7).* ***2024 წლის 29 მარტი*** *2.წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შესახებ დასკვნა (ორივე მისამართზე).* ***2023 წლის 4 დეკემბრი*** *3.ზედაღელის N7 ში მდებარე სკოლის შენობაში უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა.* ***2024 წლის 15 თებერვალი***

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორიN3.5.1.3	***სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს***	*სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობის პირველი სართულის,კიბის უჯრედების და სველი წერტილების ადაპტირება.სკოლას არ აქვს ლიფტი.* ***2024 წლის 15 სექტემბერი***

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	• *სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დაწყებითი საფეხურის შენობაში (მის:ზედაღელის ქ.N7).* • *მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერები.*
ინდიკატორი N3.5.1.2	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	• *სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს ფართი საბუნებიმეტყველო ლაბორატორიის გასამართად სადაც იქნება ხელსაბანი.შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები და ამწოვი კარადა.* • *სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს და მოაწყოს ალტერნაიული ფართი შესაბამისი ღონისძიებების მოსაწყობად.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.2.4	მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)	*შემუშავებულ კურიკულუმში ჩაიწეროს იმ სახელმძღვანელოს ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, რომლის მიხედვითაცაა შემუშავებული მოცემული კურიკულუმი (კერძოდ, საუბარია მათემატიკის პირველ და მეოთხე კლასის კურიკულუმებზე)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორიN2.1.2.4	**ჩვენი საქართველო**	*ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმში გასწორდეს სავალდებულო თემები. შეივსოს საკითხთა კლასტერის გრაფა, ჩაიწეროს კომპლექსური დავალებების იდეები, მიეთითოს ძირითადი კონტექსტს მაგალითები, მიეთითოს მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსრსები და ჩაიწეროს იმ სახელმძღვანელოს გამომცემლობა და ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, რომლის მიხედვითაცაა შემუშავებული მოცემული კურიკულუმი.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*უცხოური ენა(დაწყებითი/ საბაზო/საშუალ ო საფეხური)*	*აისახოს ყველა ცნება ქვეთავების სრულ ჩამონათვალთან მიმართებით; კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთონ ყველა კომპონენტი და მიუთითონ შესაბამის ველში; კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს შერჩეული თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი).*
ინდიკატორიN2.1.2.3	*დაწყებითი საფეხური*	*საგნის გეგმაში აისახოს ყველა ის ძირითადი კომპონენტი, რასაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: სტრუქტურირებულად ასახოს ზოგადი ინფორმაცია, ისგ ჯგუფის შეხვედრების კალენდარი და მონაცემები სასწავლო პროცესის შესახებ. ამას გარდა, მოახდინოს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა (საგანში), მიუთითოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და წარმოადგინოს კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები.*
ინდიკატორიN2.1.2.4	*უცხოური ე (დაწყებითი/ს ა ზო/საშუალო საფეხური)*	*მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება მოახდინოს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.*
ინდიკატორიN2.1.2.2	*მათემატიკა (საბაზო საფეხური)*	• *გადახედონ სამიზნე ცნებების სვეტს მათემატიკის შემუშავებულ კურიკულუმებში და ჩასწორონ სამიზნე ცნებებ ქვეცნებები.* • *მიეცა რჩევა, ჩასწორონ თემების სახელწოდებები მე-7 კლასის მათემატიკის შემუშავებულ კურიკულუმში.*
ინდიკატორიN2.1.2.2	*ისტორია (საბაზო საფეხური)*	*მერვეკლასის ისტორიის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი შეივსოს სრულყოფილად დაემატოს კომპლექსური დავალებ ების იდეები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. ასევე მიუთითეთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა და ავტორი ან ავტორთა ჯგუფი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორიN2.1.2.2	*საბუნებისმეტყ ელო*	*კურიკულუმის ჩარჩოებს საბუნებისმეტყველო მიმართულებით -აწერია მასწავლებლების სახელი და გვარი.ეს დოკუმენტებ სკოლისაა და არ საჭიროებს კურიკულკუმის ჩარჩოზე მომუშავე მასწავლებლების სახელის და გვარის მითითება.*
ინდიკატორიN2.1.2.2	*საბუნებისმეტ ელო(საბაზო საფეხური)*	*ფიზიკის მეცხრე კლასის კურიკულუმში თემის დასახელება შეცდომით წერია და გაასწორეთ,ეტყობა ტექნიკური შეცდომაა,რადგანაც საკითხები და ქვესაკითხები,რესურსები და კომპლექსური დავალების იდეა შეეხება იმ თემას რაც უნდა ეწეროს რეალურად(თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა ნაცვლად მექანიკური მოძრობისა).*
ინდიკატორი N2.1.1.1	*საზოგადოებრ ვი მეცნიერებები(შუალო საფეხური)*	*შეიმუშაონ და გააზიარონ საქართველოს ისტორიის მე-11 კლასის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-„არ შეესაბამება“ (3.1.2.3,3.1.2.4,3.4.1.1,3.5.1.3) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით. ხოლო ინდიკატორი 3.1.2.1,3.5.1.1,3.6.3.5 შეფასდა სრულად შესაბამისად, რადგან სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა მტკიცებულებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. გამოკვეთილია სკოლისთვის პრიორიტეტული მიმართულებები.სკოლისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომლობითი კულტურა, პროფესიული ზრდა და განვითარება, გუნდურობა,კვლევა,ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება,წიგნიერება. სკოლა ცდილობს დანერგოს სწავლის მამოტივირებელი ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს წარსული გამოცდილება. აფასებს ინიციატივას და ზრუნავს მის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ყოველწლიურად ხდება სკოლის მისიისა და ხედვის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა.2023 წლის 25 მაისის დირექტორის N01-03/18 ბრძანებით შექმნილი ჯგუფი უზრუნველყოფს მისიის,ხედვის რევიზიას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს წარადგენს პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი სასკოლო თემის პრიორიტეტები, ღირებულებები, გამოწვევები და მოახდინოს მათი ასახვა მისიაში. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს სასკოლო საზოგადოებას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რისთვისაც სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრისთვის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას გაცნობიერებული და გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. ამ მიზნით სკოლამ სხვადასხვა აქტივობებს მიმართა. კერძოდ: 2023 წლის 25 მაისის ბრძანება N01-03/18 დაწესებულებაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის სარევიზიო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სკოლის ფილოსოფიის სტანდართან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში საჭირო აქტივობების განხორციელება. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ, დირექცია, სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები,სამეურვეო საბჭო,კლასის დამრიგებლები,მშობლები,მასწავლებლები. სკოლის ფილოსოფიის განახლების პროცესში მშობელთა ჩართვის მიზნით დაწესებულების მიერ გამოყენებულ იქნა კითხვარები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში გეგმავს დახვეწოს საზოგადოების ჩართულობის მექნიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის სამოქმედო გეგმა შესაბამისი აქტივობებით, კონკრეტული ვადების მითითებით. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ფოკუს ჯგუფების შექმნას, შესაბამისი კითხვარის ფორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დარიგებას, ღია კარის დღის ორგანიზებას და სხვ. რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ საჯაროობის უზრუნველსაყოფად სკოლის განახლებული მისია და ხედვა განთავსდა დერეფანში, დაიბეჭდება ბუკლეტების სახით, გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში და სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. . სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.გამოკრულია სკოლის ფოიეში, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, დეკლარირიებულია 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საჯარო რეესტრიდან 2015 წლის 2 ივნისის ამონაწერით, სკოლის სახელწოდება, სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის 2023 წლის წლის 25 მაისის დირექტორის ბრძანება N01-03/18 ფილოსოფიის, რევიზიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2015 წლის 2 ივნისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882015229470).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის და მათი განხორციელების შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც მიზნად ისახავს სკოლის სტრატეგიული და მიმდინარე სამოქმედო გეგმების შექმნისა და განვითარების პროცესის მართებულად წარმართვას. დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხილვების, დამტკიცების, გადახედვის და შეფასების წესი. ასევე, სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით ყოველწლიური სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავების მექანიზმები. ყოველი ეტაპისთვის განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2023-2024 სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამება დაწესებულების მისიას. განსაზღვრულია პრიორიტეტული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის სტრატეგიები. სტრატეგიული გეგმის მიზნები გაზომვადია.სკოლის სტრატეგიული მიზნებია: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, სკოლის ინფრასტრუქტურისა და საგანამანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის მეთოდოლოგია, სადაც ჩანს , რომ სკოლას სიღრმისეულად აქვს გააზრებული მონიტორინგისა და შეფასების და მათში ცვლილებების შეტანის წესი.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმის გაცნობით დადასტურდა, რომ იგი შესაბამისობაშია და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლამ წარმოუდგინა გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომლის საფუძველზედაც აიგო 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. როგორც სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით არის გათვალისწინებული და თავად სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისასაც დადგინდა, სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებული იქნება სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები. ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის დაწესებულება გამოიყენებს SWOT ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმის მიხედვით არ არის დაკონკრეტებული ვადები კონკრეტული მიზნების და ამოცანების დაგეგმვა-განხორციელებისთვის, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დაგეგმილია სკოლისთვის პრიორიტეტული ამოცანების მისაღწევი აქტივობები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სსიპ ქალაქ ბათუმისN28 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები, ინდიკატორები, ვადები, განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირები, საჭირო რესურსები და ამ ამოცანების განხორციელების მონიტორნგის ვადები.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მასში გაწერილია, ვის მიერ, როგორი პერიოდულობით, რომელი ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. როგორ უნდა მოხდეს მათი შესრულების ანგარიშები ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას გათავისებული აქვს სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს - სკოლის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, როგორ შეიძლება მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში. სკოლა მონიტორინგის მიზნით გეგმავს განიხილოს რამდენად მკაფიოდაა გაწერილი მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და ასახულია ის სამოქმედო გეგმაში; რამდენად შეესაბამება დაგეგმილი აქტივობები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შერჩეული რესურსები მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო. განხილვების შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების, დასკვნების გათვალისწინება ხდება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული განხილვის შედეგად ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტში შეტანილ იქნას ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი და უთანხმებს პედაგოგოიურ საბჭოს. ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს საკონსულტაციო განხილვები სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან და მოამზადოს შეფასების ანგარიში.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ ორიენტირად ასახელებს სკოლის საქმიანობის გამჭირვალობას,დოკუმენტში განსაზღვრულია რა გზებით გაზიარდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. სკოლის დირექტორის ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლამ განათავსა ვებ-გვერდზე განათავსოს ინფორმაცია.ასევე გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის დერეფანში, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ მისი გაცნობა.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო. განხილვების შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების, დასკვნების გათვალისწინება ხდება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მიღწერული შედეგების რეფლექსია და მათი ასახვა სკოლის განვითარების ხედვაში. პროცესები აღწერილია ციკლურად, რაც ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

აღნიშნული დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 მაისის დირექტორის ბრძანება N01-03/18 სკოლის ფილოსოფიის, რევიზიის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი); ადმინისტრაცია (საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, დამლაგებელი(4), დარაჯი(2), ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი (სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტები); სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო.
დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სკოლის სტრუქტურა.
სკოლა ასევე სარგებლობს წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. გარდა ამისა, დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებითაც.სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი კათედრა. სახელმწიფო ენის კათედრა;მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა,საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა,უცხოური ენების კათედრა, ესთეტიკური აღზრდის კათედრა,დაწყებითი საფეხურის კათედრა.
კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილ იყო სხვადასხვა კათედრის ოქმები.
პედაგოგიური პერსონალი შედგება - 39 მასწავლებლისაგან.აქედან, 2 მაძიებელია,30 უფროსი,6 წამყვანი,1 სპეციალური მასწავლებელია.
სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეებები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.
ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
როგორც სკოლის წარმომადგენლებეთან გასაუბრებისას დადგინდა, სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება მოსწავლეთა შედეგების განხილვა კათედრის სხდომებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ორგანიზებას, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავებას, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები. ამ პროცესებს სხვადასხვა ეტაპზე ეყოლება შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- კათედრების ოქმები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიას, სამუშაო აღწერილობას, კონკურსის ჩატარების პირობებს. დოკუმენტში ასახულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები(მასწავლებელების), ასევე განსაზღვრულია პერსონალის/ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისა და ახალ გარემოში ადაპტაციის მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების ინსტრუმენტები, რაც დადასტურდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები.
პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი.სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო დროის ყოველდღიური არღიცხვა წარმოებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად (ტაბელი).
სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.
სკოლის შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და კონკრეტულ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესის გაცნობა იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.სკოლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში (ბიბლიოთეკარი,დამლაგებელი,დარაჯი,მუშა,საქმისმწარმოებელი,უფროსი მასწავლებელი,წამყვანი მასწავლებელი) მუხლი 6.შრომის ანაზღაურების ოდენობისა და **ანაზღაურების წესში,არ არის მითითებული დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მტკიცებულებები და ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**
ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მასწავლებელთა შიდა შეფასების განხორციელება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; ასევე, მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება და შეფასება; მასწავლებლისთვის განმავითარებელი შეფასების მიცემა მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე და ა.შ. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიული საჭიროებები(ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). შესაბამისი აქტივობები გათვალისწინებულია სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც. პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს შეუწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ღ[10] ქვეპუნქტის,43-ე მუხლის მე-2 პუნქტის,საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხდება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით ან სხვა პედაგოგის მიერ. აღნიშნული დასტურდება სკოლაში წარმოებული ჟურნალის მიხედვითაც, სადაც ხდება ჩამნაცვლებელი მასწავლებლის აღრიცხვა. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გსაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს ვაკანტური ადგილისა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, განსაზღვრავს დასაკავებელი ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის პროცედურებს. სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები და პირობები, განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დეტალურად არის აღწერილი პერსონალის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში (16/10-17/10/2023) ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები არ ჰქონდა თანამშრომლების ნაწილს, თუმცა როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, გაკეთებული აქვთ განცხადი ამ ცნობის აღების თაობაზე და წარმოადგინეს *მტკიცებულება.**სკოლას მიეცა რეკომენდაცია თანამშრომელთა ნაწილს,რომლებმაც ვერ წარმოადგინეს ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობები წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.***

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.ექპერტთა მიერ დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში ინახებოდა ყველა ის დოკუმენტაცია, რასაც სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი ითვალისწინებდა.თუმცა სკოლაში დასაქმებულ **ექიმს არ აქვს** დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (პედიატრი,საოჯახო მედიცინა,ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი).მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია მაძიებელი,უფროსი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი.კერძოდ, 2 მაძიებელია, 30 უფროსი, 6 წამყვანი, ასევე 1 სპეციალური მასწავლებელი და 2 ასისტენტი.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებილი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას,გარდა *ექიმისა.**სკოლას მიეცა რეკომენდაცია,რომ დაწესებულებაში დასაქმებული ექიმი ფლობდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატს (პედიატრი,საოჯახო მედიცინა,ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი) 2024 წლის 01 იანვარი.***

ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად შესაბამისია

5.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და კონკრეტული გამოწვევების დაძლევის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. შინაგანასესის მე-19 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ამ მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობს ,,კრიტიკულ მეგობარის ინსტიტუტი", კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებებს და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერიურებისას დასტურდება შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების წესის არსებობა სკოლაში; სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია და დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საქმისწარმოების წესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;
- კონკურსის ჩატარების ოქმები;
- პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები, კერძოდ: ა)ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ბ) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულება. დებულებით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების გარდა, მოიცავს საგნობრივი სასწავლო თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებელის რეფლექსიის შეფასებას. დებულების თანახმად მასწავლებელი იღებს შესაბამის უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმების დახვეწას.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრეინინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. სკოლაში პროფესიული განვითარების აქტივობები განხორციელდება, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”. 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., შეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალებების თემატიკა, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს სხვა პერსონალსაც პროფესიულ განვითარებაში.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში მე-11 მუხლში,გაწერილია თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაცია-ორიენტაციის და სტაჟირების პოლიტიკა.

ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს გააცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშრომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი და ხელისმოწერით ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს, რომელიც ასევე გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლა, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-11 მუხლით, უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. აღნიშნული დადასტურდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგებთან გასაუბრებისას. სკოლას ჰყავს 2 მაძიებელი, რომელსაც აქვს სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა. როგორც მათ აღნიშნეს, პროფესიაში პირველი ნაბიჯების გადადგმა სკოლაში მოხდა გარკვეული გეგმის მიხედვით ეტაპობრივად და ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ასევე კათედრის წევრებისგან. დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლით, რაც მოიცავს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია და დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯაროსკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შინაგანაწესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის შინაგანაწესის 42-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს, ამიტომ სკოლამ შეიმუშავა სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. სკოლას შემუშვებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- დირექტორის ბრძანება;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც შექმნილია დახურული ჯგუფები. გარდა ამისა, მშობელთან ურთიერთობის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობელს აქტიურად მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური შედეგების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება ასევე მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით, რომლის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისშივე აქვთ მშობლებს ინფორმაცია. ყოველი კვირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში არის საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრისას დადგინდა, სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის და მათ მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობა: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ქცევის წესები, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია და სხვ.

სკოლას აქვს ვებგვერდი, თუმცა ის დამუშავების პროცესშია. სკოლა მას იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უკუკავშირის მექანიზმის გაუმჯობესებას, რაც დაწესებულებას დაეხმარება დაადგინოს კონკრეტული საჭიროებები და სკოლის თემის მოლოდინები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობი, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებბლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართლობას სკოლის მართვაში და უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- თვითმმართველობის დებულება;
- სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ-გვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური (ორი მანდატური). შენობაში დამონტაჟებულია 13 ვიდეო-სათვალთვალო კამერა (მის:მ.ვარშანიძის ქ.N209). სკოლის შენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი (ორი დარაჯი). დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია განახლებული საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. **სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები N138 05/07/2023 (ზედაღელის ქ.N7) და N139 05/07/2023 (მ.ვარშანიძის ქ.N209). სკოლამ ვერ წარმოადგინა** საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან **შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.სკოლამ ასევე, წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა N5006141723 02/10/2023 (მ.ვარშანიძის ქ.N209)**,ხოლო სკოლის მეორე მისამართზე (ზედაღელის ქ.N7) მდებარე შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ბრძანება თარიღდება 2015 წლის 5 თებერვლით(N ს-37),რაც შენობის ხელახალ შეფასებას გულისხმობს,მისი ხანდაზმულობიდან გამომდინარე.სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი (მ.ვარშანიძის N209). სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში. სამედიცინო კაბინეტში,სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არის გამოყოფილი.**ექიმის კაბინეტი არ ფუნქციონირებს ზედაღელის ქ N7 ში მდებარე შენობაში.** სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა.კერძოდ:1. წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა (ზედაღელის N7). 2024 წლის 29 მარტი2.წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შესახებ დასკვნა (ორივე მისამართზე). 2023 წლის 4 დეკემბრი3.ზედაღელის N7 ში მდებარე სკოლის შენობაში უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა. 2024 წლის 15 თებერვალი***

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში (მ.ვარშანიძის N209) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად,ხოლო ამავე სკოლის მეორე შენობაში (მის:ზედაღელის ქ.N7) **არ ჰყავთ მანდატური** და არ არის განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, რომელიც გაკრულია სკოლის (მის:მ.ვარშანიძის ქ.N209) დერეფანში (ორივე სართულზე).**რჩევა**:სკოლამ განსაზღვროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დაწყებითი საფეხურის შენობაში (მის:ზედაღელის ქ.N7).მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერები.

ინდიკატორი3.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო კოლის ორივე შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია

5. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. ამიტომ ჩამოყალიბებული აქვს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები და მონიტორინგის მექანიზმები.სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.სადაც მეორე მხარე აცხადებს თანხმობას,რომ მისი პერსონალური მონაცემები სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ხელმოწერით აცხადებს თანხმობას სასკოლო აქტივობისას განახორციელოს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს. მანდატურის სამსახური მთლიანად უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. კერძოდ სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისთვის აქტიურად იყენებს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების ფორმას, სადაც გათვალისწინებული აქვს შეფასების შედეგების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის 2023 წლის 5 ივლისის აქტი N138 და აქტი N139
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 2 ოქტომბრის დასკვნა N5006141723.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ბათუმში მ.ვარშანიძის N209 ში, ხოლო დაწყებითი კლასებისათვის (I-II-IV კლასები) შენობა მდებარეობს ქალაქ ბათუმში,ზედაღელის ქ.N7-ში. დაზუსტებული ფართობია 3093.00კვ.მ.სხვა ფართი შენობა N1-1178.8 კვ.მ;შენობაN2-149.22 კვ.მ.**რეესტრიდან ამონაწერში არ ფიქსირდება სკოლის მეორე მისამართი-ზედაღელის N7,ხოლო სკოლის მიერ წარმოდგენილი ამავე მისამართზე მდებარე შენობის ფართობია 280.2კვ.მ-ია (მოშენების ფართი,კიბისა და პანდუსის ჩათვლით).** სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი **წესით.თუმცა ზედაღელის N7 ნომერში მდებარე შენობასთან დაკავშირებით უნდა გაკეთდეს საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი**,რომელიც დააზუსტებს არსებულ მონაცემებს. სკოლის N1 შენობა ორსართულიანია,ხოლო N2 შენობა ერთსართულიანი.N1 შენობაში 13 საკლასო ოთახია.მათ შორის პირველ სართულზე 8 საკლასო ოთახი,მეორეზე 5 საკლასო ოთახი.ამ შენობაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს(I-XII კლასი). N2 შენობაში,სულ 4 საკლასო ოთახია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს (I-II-IV კლასი). ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს ჯამში 351 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია.სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მტკიცებულება.კერძოდ, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი.აქედან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა,როგორც შესაბამისი.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის შენობა (მ.ვარშანიძის N209) სრულად რეაბილიტირებული არ არის თუმცა,შიდა ფინანსური რესურსით მოწესრიგებულია. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, ლიტერატურას.რაც შეეხება ზედაღელის N7-ში მდებარე შენობას ის სრულად რეაბილიტირებულია.**სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.დარბაზი.რჩევა:სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს ფართი საბუნებიმეტყველო ლაბორატორიის გასამართად სადაც იქნება ხელსაბანი.შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები და ამწოვი კარადა.** კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 19 კომპიუტერი. დაწყებითი საფეხურის ყველა დამრიგებელს აქვს პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი ,დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი,რომელიც სარეაბილიტაციოა. **სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი.რჩევა:სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს და მოაწყოს ალტერნაიული ფართი შესაბამისი ღონისძიებების მოსაწყობად.3.5.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის **ინფრასტრუქტურა არ ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს.მიუხედავად იმისა,რომ** სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი და სკოლის შენობის შესასვლელი (ორივე მისამართზე) ადაპტირებულია. სკოლის პირველი სართული,კიბის უჯრედები და სველი წერტილები ადაპტირებული არ არის.სკოლას არ აქვს ლიფტი.რესურსოთახი,ბიბლიოთეკა,კომპიუტერული ლაბორატორია და დახურული სპორტული დარბაზი მდებარეობს მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სართულზე.*სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობის პირველი სართულის,კიბის უჯრედების და სველი წერტილების ადაპტირება.2024 წლის 15 სექტემბერი.*ინდიკატორი 3.5.1.3 მეტწილად შესაბამისია

4. . სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. სპორტული შეჯიბრებებისა და პრეზენტაციებისათვის სკოლა იყენებს ღია სივრცეს (ეზოს). ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო კოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით.შერჩევითი პრინციპით შევამოწმეთ ბიბლიოთეკაში არსებული სახემძღვანელოები,რომლებზეც დასმული არის სკოლის ბიბლიოთეკის ბეჭედი.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება;
- სკოლის ბლოგი და facebook -ის გვერდი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის უწყისი;
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმა". სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება. აღნიშნული გეგმის თანახმად სკოლას ჰქონდა 28 კომპიუტერი, 8 პროექტორი, თუმცა გეგმავს დამატებით საჭირო ინვენტარის შეძენას. სკოლაში საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მასწავლებლებისთვის საზიაროა სამასწავლებლოც. საკლასო ოთახების უმეტესობა აღჭურვილია კომპიუტერებით, თუმცა სადაც არ არის, მასწავლებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლის პერსონალური ლეპტოპით. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ტექნიკა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(office 365, Teams, Forms, OneDrive, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის.
ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ ჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმებისა და ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმის" თანახმად ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. დაწესებულებას აქვს ,,მატერიალური და არამატერიალური რესურსების განკარგვის წესი". სკოლის ბუღალტერი პასუხისმგებელია ლეპტოპების აღრიცხვა-შენახვაზე. ის აღრიცხავს არსებულ ტექნიკას, ასევე ავსებს გატანა-შემოტანის აღრიცხვის ჟურნალს. აღნიშნულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი ;
- კურიკულუმები;
- მატერიალური და არამატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მიღება-ჩაბარების აქტი;
- ინვენტარიზაციის უწყისი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სასკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით და სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა.სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(e-School.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების (სულ 5 მოსწავლე) მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება.

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას ვებგვერდი ჰქონდა, თუმცა სტანდარტით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი არ არის ატვირთული. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა საკმაოდ აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას აქვს სოციალური ქსელი. სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. გარდა ამისა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერიუს დროს განაცხადეს, პედაგოგებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აწვდიან მათ ყველა საჭირო ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, როგორც ამას მშობელთან ურთიერთობის დებულება ითვალისწინებს. **ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი.დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს ვებ გვერდი. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.**ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია**

5.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი. ამ ეტაპზე შეიცავს ინფორმაციას სამოქმედო გეგმის, სტრუქტურის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ.ვებ-გვერდი არ შეიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.***სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა მტკიცებულება.აქედან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია***

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის დირექტორი 2023 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება N 01-03/68 ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ";

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე,კომუნალურ გადასახადებზე,საკანცელარიო და სამეურნეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საქონლის შეძენაზე და მიმდინარე და მცირე სარემონტო სამუშაოებზე. (სამოქმედო გეგმაში გაწერილია). სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართები) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- ბათუმის რესურსცენტრის წერილი MES 7 23 0001 178235 18/09/2023 სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის შენობის (მის:მამია ვარშანიძის N209)მეორე სართულზე არსებული 125.6 კვ.მ ფართის და სკოლის ეზოში მდებარე დამხმარე შენობა-ნაგებობის19.87 კვ.მ ფართის იჯარით გაცემის შესახებ.
- იჯარით გასაცემი ფართის საიჯარიო ქირის განსაზღვრა დასკვნა N23-09/03 04/09/2023

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოების წესი; სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი4.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლესთნ/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2023-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმები;
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებლი . სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი;სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. **ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება,რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.**ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი და ცეკვის სტუდია, რომელთა შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.**ინდიკატორი4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;ყველა ახალ მოსწავლეს უწევს შესაბამის მხარდაჭერას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით,აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი.მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ერთი სპეციალური მასწავლებელი და ორი ასისტენტი. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითმმრთველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. სკოლამ განახორციელა პროექტები: ,,ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა",პროექტის მიზანი იყო ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება; დედამიწა ჩვენი სახლია,პროექტის მიზანი იყო გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების და ექსპერტული ცოდნის განვითარება. აგროკლუბის მიერ განხორციელდა პროექტი ,,სოფლის მაშენებლები".ყოველწლიურად ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ტარდება ,,მხიარული სტარტები",ასევე ყოველწლიურად ,,ცოდნის დღესასწაულზე" წარმატებული მოსწავლეები წახალისებულნი არიან ქების **სიგელით.ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

6.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში ჩატარდა კვლევა. გამოვლინდა სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, გამოიკვეთა, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სკოლამ, რათა სწავლა-სწავლება უფრო ეფექტური გახადოს ციფრული მიმართულებით. სკოლის კითხვარებით გამოვლინდა ისეთი პრიორიტეტული საკითხების განვითარების მზაობა, როგორიცაა: სკოლის არაფორმალური განათლება, უსაფრთხოება. სკოლა გეგმავს სასწავლო წელს განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროექტები;
- თვითმმართველობის დებულება;
- თვითმმართველობის facebook-გვერდი;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერულ დაგეგმვას ახორციელებს არაფორმალურ აქტივობების გზით. მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილია სხვადასხვა პროფესიების მქონე ადამიანთა მოწვევა სკოლაში, მათთან გაიმართა დისკუსიები. **ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით.ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას,გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, 3 სპეციალური მასწავლებელი და 1 ასისტენტი. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი აქვს ადაპტაციის გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს **ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას.** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბაუმის N28 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ისგ გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის გეგმა.

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სკოლას არ აქვს შეთავაზებული,არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.**ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია;**

2.სკოლას არ აქვს შეთავაზებული, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.**ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას არ აქვს შეთავაზებული, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.**ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის ბრძანება, საიდანაც ჩანს სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი საქმიანობები. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ პროცესებში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თუმცა ძირითადად პროცესის მთელი სიმძიმე გადადის კათედრის ხელმძღვანელებზე და დირექტორის მოადგილეზე. კათედრებზე მოხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, სადაც ადგილი ექნება იდეების გაცვლას, მსჯელობას და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. რას გულისხმობს კურიკულუმის შემუშავება? კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:1.1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);1.2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;1.3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;1.4. რა ძირითად და დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;1.5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;1.6. რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებსა და აქტივობებს მოარგებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. რაც გაკეთდება მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების ანალიზის საფუძველზე და შესაბამისად მოხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. შემუშავებული და გაზიარებული იქნება კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები. სკოლის ზემოთაღწერილი ხედვა ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში.

საბუნებისმეტყველო საგნების სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, საჭიროებებს , შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ტრადიციულად მაღალია მშობელთა ჩართულობა . მოსწავლეთა საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მიმდინარეობს არა მარტო სასწავლო წლის დასაწყისში , არამედ მთელი სასწავლო წლის მანძილზეც . ინტერვიურებისას გამოჩნდა რომ, კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მიმდინარეობს პირისპირ სკოლის სივრცეში.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა გეგმავს, რომ სადამრიგებლო საათებზე და სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებზე მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, ამისთვის კი სკოლაში შექმნილია სასკოლო კლუბი-აგროკლუბი და სამოქალაქო კლუბი. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს, რომ სასკოლო კურიკულუმი ერთობლივი გუნდური მუშაობით შექმნეს, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შერჩეულია სასკოლო პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“(არა-ნარკოტიკს, არა-ალკოჰოლს, არა-ფსიქოტროპულ წამლებს), შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ყოველივე ზემოთთქმული დასტურდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, რაც სკოლამ წამოადგინა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე. **საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა** ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასებში ბუნების საგნის სწავლებისას მასწავლებელები იკრიბებიან კათედრის სხდომებზე და განიხილავენ სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ასევე ჩანს სკოლის მისიასა და ხედვაში, რომ სკოლის ძირითადი პრინციპია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეალიზების საშუალებას და იმ ცოდნას შეძენს, რომელიც ცხოვრებისეულ გამოწვევათა დაძლევაში დაეხმარება.**ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია. ერთერთი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ სკოლისთვის მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. ურთიერთთანამშრომლობაზე დაყრდნობით სკოლა აპირებს დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები. ეს პროექტები შემუშავებული იქნება არა მხოლოდ საგნობრივი კურიკულუმების, არამედ არაფორმალური განათლების ფარგლებშიც. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სასკოლო საზოგადოების წევრებით. ჩატარდება გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგები გაანალიზდება და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. ყველას თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ექნება, პასუხისმგებლობები და ფუნქციები სათანადოდ იქნება გადანაწილებული, ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპებზე (1-6) დაწყებითი კლასის **ბუნების** მასწავლებელებმა ინტერვიურებისას დაწყებითის საფეხურის (1-6) კლასების პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ ყველა კლასში გეგმავენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას ,ხოლო იმ საკითხებთან ,სადაც არ უწერიათ კომპლექსური დავალებები, ისინი ცნებების დამუშავებას საკითხების შესწავლის გზით გეგმავენ მიმდინარე სხვადასხვა აქტივობების დროს. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ აქვს ,მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სასწავლო მასალას ,რომელსაც იყენებენ ბავშვები საგაკვეთილო პროცესის მსველელობის დროს ინახავენ სამასწავლებლოში ან მოსწავლეთა შექმნილ რესურსებს და ნამუშევრებს ინახავენ მოსწავლეები საკუთარ პორტფოლიოებში . სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ოთახი, თუმცა ბუნების გაკვეთილებზე მასწავლებელები სადემონსტრაციო ცდებს უტარებენ მოსწავლეებს და კვლევითი უნარების განვითარებისათვის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, რაც გასაუბრებისას აღნიშნეს პედაგოგებმა. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით და სხვა. კურიკულუმის საბოლოო ვერსია გაზიარებული იქნება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, ასევე კლასების დახურულ ჯგუფებში და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. სკოლა ინფორმაციის გასაზიარებლად გეგმავს სკოლის ვებგვერდის გამოყენებასაც, რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი.

დაწყებით საფეხურზე **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს და შეფასების რუბრიკებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ინტერვიურებისას აღნიშნეს ,რომ ბუნების მასწავლებლები მშობელთა კრებაზე აცნობენ კომპლექსურ დავალებებს კლასის დამმრიგებლებს, მშობლებს, მოცემულ კლასში მომუშავე სხვა საგნის მასწავლებლებს.**ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი ჩართულობის ამსახველი დოკუმენტი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოები ბუნებისმეტყველებაში(1-6)კლასის მიხედვით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დასტურია სკოლაში არაფორმალური განათლების წარმატებული პრაქტიკა, რაც მიმართულია გრძელვადინი მიზნების მისაღწევად ფორმალურ განათლებასთან ერთად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება, არაფორმალური განათლების შეთავაზება მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას, გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სკოლას აქვს მზაობა, რომ პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს.

უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც . კერძოდ, ბუნდოვანებაა ქვეთავების ჩამონათვალში და თითო ქვეთავი მიემართება თითოეულ ცნებას. გარდა ამისა, ინგლისური ენის მე-4 კლასის ჩარჩოში ზოგიერთ თავში ასახულია მხოლოდ ქვესაკითხები და აკლია კონტექსტ- მაგალითები და დავალების პირობა. რუსულ ენის მე- 5,6 კლასების ჩარჩოებში არეულია კომპონენტების ჩამონათვალი, რაც ბუნდოვანს ხდის დაგეგმილ კურიკულუმს. ამასთან, ორივე უცხოურ ენაში, უმეტესად წარმოდგენილია ერთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალება რაც ვერ ფარავს სრულ თემას. მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. **აღნიშნულის შესახებ მიეცა რჩევა/რჩევები. კერძოდ, აისახოს ყველა ცნება ქვეთავების სრულ ჩამონათვალთან მიმართებით; კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთონ ყველა კომპონენტი და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიუთითონ შესაბამის ველში; კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს შერჩეული თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი). მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი იყოს პროცესზე ორიენტირებული და მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს. **საბუნებისმეტყველო საგნებში** შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. რეალურად სკოლა ჯერ ვერ ახორციელებს სწავლებას კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა ინტერვიურებამ ნათლად აჩვენა ,რომ მასწავლებლები იცნობენ სტანდარტის საფეხურებრივი შედეგებს და სამიზნე ცნებებზე აგებულ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს . მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილი იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იყო გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი(კომპლექსური დავალება). **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელების მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწნებული თემები და საკითხები. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელებისას მოსწავლეები შექმნიან ისეთ პროდუქტს, რომელიც მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში დაეხმარება და მისცემს თვითგამოხატვის საშუალებას.**ბუნების** პედაგოგები მიმდინარე სასწავლო წელს მუშაობდნენ ნაწილობრივ კომპლექსური დავალებებით. ახალი სასწავლი წლისთვის სკოლას აქვს ბუნების კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე (1-6 კლასი) . სტანდარტის შესაბამისად არის წარმოდგენილი დაგეგმილ წლიურ კურიკულუმში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები .პირველიდან მეექვსე კლასის კუკრიკულუმის ჩარჩოში წრმოდგენილია სავალდებულო თემები, რომლებშიც ყველა ცნება მუშავდება.მეორე კლასში ყველა სავალდებულო თემა არის,თუმცა დასაზუსტებელია მეორე და მესამე თემის სახელწოდება. წარმოდგენილია ყველა კლასში სხვადასვა კომპლექსური დავალებები,მიმყვანი აქტივობები,სამიზნე ცნებები .ზოგ კლასში საკითხები შესაბამისი ქვესაკითხებით არ არის დაყოფილი;ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა 1-6 კლასის ჩათვლით ყველგან არის დაწერილი. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), ინდიკატორი 2.1.2.2.დაკმაყოფილებულია**

3. სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ისგ), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ირიცხება ოთი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწვლე. მათთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. სწავლების პროცესში აქტიურად არიან ჩართული სპეციალური მასწავლებელი და ასისიტენტები. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ საგნის მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიურ და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს. სასწავლო პროცესს ხშირად გეგმავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებით. მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე.უცხოური ენები დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლის მხოლოდ ძლიერი მხარეები და საჭიროებები და შეინიშნება რიგი ხარვეზები, რის შესახებას მიეცა **რჩევა. კერძოდ, საგნის გეგმაში ასახოს ყველა ის ძირითადი კომპონენტი, რასაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: სტრუქტურირებულად ასახოს ზოგადი ინფორმაცია, ისგ ჯგუფის შეხვედრების კალენდარი და მონაცემები სასწავლო პროცესის შესახებ. ამას გარდა, მოახდინოს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა (საგანში), მიუთითოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და წარმოადგინოს კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები.** მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და კომპეტენცია, რომ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და ისე შესთავაზონ შესაბამისი დავალებები მოსწავლეებს. **საბუნებისმეტყველო საგნების** <u>მასწავლებლები</u> ინტერვიურებისას აღნიშნავდნენ რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობისას ადგენდნენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას,ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და აქტივობების დაგეგმარებისას შესაბამის რესურსს ითვალისწინებდნენ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის. მათი საუბარი მტკიცდება ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მატერიალური ნიმუშების წარდგენით. გამოიკვეთა რომ დიფერენცირება ხდებოდა სასწავლო მასალის, სასწავლო სივრცის და მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტის მიხედვით. სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, ჩანს საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების ინდვიდუალური სასწავლო მიზნები ,მისი განხორციელების გზები,მოსწავლეთა ნაშრომები ადასტურებს ,რომ სკოლა უზრუნველყოფდა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა ,რომ ახალ სასწავლო წელს კიდევ ბევრს გაირჯებიან ინდივიდუალური გეგმების გაუმჯობესებისათვის.**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,** ***ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია***

4. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი ყველა სგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. **ხოლო** განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. **კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.** დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში **ორივე უცხოურ ენაში** იკვეთება ბუნდოვანება ზოგიერთ კომპონენტთან მიმართებით. ინგლისური ენის მე-6 კლასის რუბრიკაში ბუნდოვანია კრიტერიუმები, ხოლო რუსული ენის მე-6 კლასში წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში აღინიშნება მცირეოდენი ხარვეზები, თუმცაღა მთლიანობაში ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და მიმართულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებზე, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოებას, ინგლისური ენის მე-4 კლასის რუბრიკაში არასწორი ცნებაა მითითებული, რუსული ენის მე-6 კლასში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმებში ნაკლებად დეტალურადაა აღწერილი თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან (და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან) მიმართებით. საბაზო საფეხურზე, კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ინგლისური ენის მე-9 კლასში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით.რაც შეეხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების ანალიზს, კათედრას შემაჯამებელ ოქმში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილი აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მაისის თვეში. **რაზეც მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება მოახდინოს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.** მიუხედავად აღნიშნულისა, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და კომპეტენცია, რომ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაანალიზებლად მიზნობრივად აწარმოონ სადიაგნოსტიკო დოკუმენტი. **ბუნებისმეტყველებაში** პირველიდან მეოთხე კლასების ჩათვლით მასწავლებელები იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, როგორც ზეპირი , ისე წერილობითი სახით მთელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მე-5, მე-6 კლასებში კი შექმნილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.თუმცა, როგორც აღნიშნეს ინტერვიუს დროს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად კვლავაც იყენებენ ასევე სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარებს. რომლის დროსაც ისინი მიმართებას ახდენენ მოსწავლის ცოდნასა და სამიზნე ცნებას შორის .მოსწავლეებს აფასებდნენ სოლო შეფასებით და აწვდიდნენ მოსწავლეებს უკუკავშირს რჩევის სახით.მასწავლებლებმა წარმოადგინეს ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შევსებული ნიმუშები ბუნებისმეტყველების 1-6 კლასებში განხორციელებული ,რომლებიც მიემართებიან სამიზნე ცნებებს. ინტერვიურებამ აჩვენა ,რომ მასწავლებლები მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას კრიტერიუმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას,ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებლებმა იციან , რომ სავალდებულო თემათა ინდიკატორები გამოიყენონ შეფასების რუბრიკების შექმნისას.**განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, ინდიკატორი** ***2.1.2.4. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. მასწავლებელები კათედრებზე უზაიარებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, შედეგებზე დაკვირვებისა დ ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. წამოდგენილი დოკუმენტაციით (მასწავლებელთა ურთიერთშეფასება, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბიკები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს დაგეგმარებისას ყურადღება გაამახვილეს თავიანთი მოსწავლეების ნაშრომებიდან გამომდინარე წარმატებებსა და გამოწვევებზე. კოლეგებთან ერთად კათედრაზე მოახდინეს პედაგოგებმა სამუშაოს ანალიზი. გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის გამოცდილება, რაც გახდა საფუძველი იმ ცვლილებებისა რომელიც შეიტანეს დაიგეგმილ 2023-2024 წლის კურიკულუმების ჩარჩოები. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ესგ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ინტერვიურებისას მოვისმინე მასწავლებელთა რეფლექსია ,რა იყო ძირეული ცვლილებების მიზეზი და გამოიკვეთა ,რომ მოსწავლეთა ფუნქციური სხვადასხვა უნარის განვითარება მათი პრიორიტეტია სხვადასხვა საკითხების დამუშავებისას. მათ აქვთ მზაობა რომ ასეთი მიდგომა გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას სწავლა-სწავლების პროცესში.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები 1-6 კლასი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლეების რეგულაციის წესი;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის, გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში ; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა სიღრმისეულად ისაუბრეს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გასაღვივებელ აქტივობებზეც. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ , მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, მასწავლებლის წიგნებში მოცემული მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ავითარებს თანამშრომლობით სწავლას. როდესაც მოსწავლე მუდმივად გასცემს და იღებს თანატოლისგან დაუყოვნებლივ უკუკავშირს, ეს უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლობის გაზიარებას და ამაღლებს მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას. მასწავლებლებმა ასევე დააანონსეს, რომ მოსწავლეთა ინიციატივების წასახალისებლად დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი აქვთ კლასგარეშე / სასკოლო თემატური ღონისძიებებიც. საერთო შეფასებით, კურიკულუმის გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაეხმარონ მოსწავლეებს მიიღონ როგორც სასკოლო, ისევე ცხოვრებისეული გამოწვევები და ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური თვითრწმენა.**საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან** გასაუბრებისას დადასტურდა ,რომ მასწავლებლებს თემის ფარგლებში ისეთი კომპლექსური დავალება შეაქვთ , რომლითაც მოსწავლე ამუშავებს ინფორმაციას , ახორციელებს ინტერაქტიურ აქტივობებს და ნაბიჯ ნაბიჯ მიდის ცოდნის აგებისკენ სამიზნე ცნებების დამუშავებით. შემიძლია კურიკულუმის ჩარჩოდან გამომდინარე დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს პედაგოგებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი გახადონ მოსწავლეზე მეტად ორიენტირიებული. გასაუბრებამ აჩვენა რომ მოსწავლის მოტივაციაზე ზრუნვა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა მასწავლებლების ძირითადი ორიენტირია.სასწავლო თემების დაგეგმარებისას როცა მაორიენტირებლად აქვთ შუალედური (თემის ფარგლებში ძირითადი საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნები ,მასწავლებლები გეგმავენ მიმყვან ისეთ აქტივობებს,რომ მოსწავლე აქციონ შემოქმედებითად.დაწყებითის მასწავლებლებმა ,რომლებიც ასწავლიან ბუნების საგანს წარმოადგინეს მოსწავლეთა პორტფოლიოები,რაც იყო მტკიცებულება მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის.ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური, მოწესრიგებული. სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,თუმცა არსებული სასწავლო რესურსებით(თვალსაჩინოებებითა ,კომპიუტერებითა და პროექტორებით ,სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ბიბლიოთეკით) მასწავლებლები ახორციელებენ ძალიან საინტერესო და აქტიურ სასწავლო პროცესს,რისთვისაც ერთად გეგმავენ და მხარში უდგანან ერთმანეთს.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ინდკატორი ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.წარმოდგენილი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტესად ისინი დავალების პირობის რელევანტურია და გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც საჭიროებს უფრო მეტ გამართულობას და სიცხადეს, თუმცა, უმეტესად ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. მაგალითად, ინგლისური ენის მე-5 კლასის ერთი დავალების პირობა ასეთია „პოსტერზე დაყრდნობით მოამზადე პრეზენტაცია შენი მეგობრის პროფილის შესახებ სადაც ისაუბრებ მის ასაკზე, გარეგნობაზე, ჰობიზე, შესაძლებლობებზე და წარადგინე კლასის წინაშე“. ამ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გააკეთოს ანალოგია და შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების მიზნობრიობაც. კერძოდ, მათ ისაუბრეს კლასგარეშე / სასკოლო თემატური ღონისძიებებზე და სხვა თანამშრომლობით აქტივობებზე, რაც ეხმარება სასწავლო პროცესს მიუახლოვდეს მოსწავლის გამოცდილებას, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება და რაც განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობა. მათთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყოველთვის იყენებენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მოსწავლეების წინარე გამოცდილებას ,ცოდნას. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტში, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებში/აქტივობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში. ამ მიმართულებით, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევების გასაანალიზებლად კათედრას შერჩეული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმის წარმოება, რაც ეფექტურ სადიაგნოსტიკო ინსრუმენტს წარმოადგენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდგომი ეტაპისთვის. გარდა ამისა, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს საკვანძო შეკითხვების საშუალებით მეტაგოგნიციის განვითარებაზე და ასევე დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება ამ მიმართულებით. კერძოდ,მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ თვითშეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობა მოსწავლეებს წაახალისებს და განუვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მეტად აპირებენ ჩართონ მოსწავლეები შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შემუშვების პროცესში, რათა მათთვის გამჭვირვალე იყოს, რას ითხოვენ მათგან და რაზე აქვთ მეტი სამუშაო. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლას. **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებს შორის. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ თანამშრომლობით სწავლებას ხშირად მიმართავენ მოსწავლეებთანაც . კურიკულუმში რამდენიმე კომპლექსურის იდეაში ჩანს, რომ საგნის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მოსწავლეები ისწავლიან სასწავლო სხვადასხვა პროდუქტების შექმნას და შეძენილი ცოდნის გამოყენებას ყოფა -ცხოვრებაში. მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიურებისას ,რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე მთელი სასწავლო წელი ზრუნავენ . პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ ეს პროცესი კომპლექსურამდე მიმავალ აქტივობებში და თავად კომპლექსური დავალების წარდგენისას ეხამრება მოსწავლეს თვითსწავლის უნარის განვითარებაში.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ინდიკატორი 2.2.1.3. *დაკმაყოფილებულია***

4.სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. **საბუნებისმეტყველო საგნებიში** მიმდინარე კურიკულუმი წარმოდგენილია ჩარჩოს სახით და კარგად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე ორიენტირება, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კარგად გამოჩნდა, რომ იციან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატრიცების შაბლონებით და მასწავლებლის მეთოდური წიგნებით. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში მრავალფეროვანი პროდუქტები აქვთ გათვალისწინებული. მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს ,რომ უკეთეს შედეგს ღებულობენ, როცა მოსწავლეები ძირითადად სკოლაში მუშაობენ,სადაც დეკლარატიული ცოდნის შეძენის შემდეგ პროცედურული ცოდნის შეძენისას მოსწვლეები აკეთებენ სამუშაო რვეულებში ჩანაწერებს და ასეთი სახით ახდენენ ცოდნათა კავშირს, რომ თავად შეძლონ შესწავლილი საკითხის წარმოჩენა და ფუნქციური ცოდნის ჩვენება.**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლებს კურიკულუმის ჩარჩოს თემებში სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები აქვთ წარმოდგენილი , რითაც უზრუნველყოფენ პირობისეული ცოდნის შეძენას და მოსწავლის სხვადასხვა უნარების გაერთიანებით მათ გარდაქმნას შემოქმედებით პიროვნებად. წინარე ცოდნაზე დაფუძნებით როცა მოსწავლე აგებს ახალ ცოდნას და ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტებს ,პრობლემური სიტუაციების ანალიზს წარმართავს ,პროექტებით მუშაობას სწავლობს ,მისი თვითშეფასებას იზრდება და განწყობაც პოზიტიური ხდება სასწავლო პროცესის მიმართ. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.ამ მიმართულებით პატარებს ძალიან ახალისებთ სასკოლო პროექტებში მონაწილეობა და თავიანთი სამუშაო პორტფოლიოს შექმნა-წარდგენა კლასში.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები პირველ და მეორე უცხოურ ენებში;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- რესურსი 12- უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი საბუნებისმეტყველო საგნებში(1-6)
- დაწყებითის ბუნებისმეტყველების (1-6)კურიკულუმის ჩარჩოები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და საკითხებს. ისმება საკვანძო შეკითხვები და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. სკოლის მიერ **საბუნებისმეტყველო საგნებში** წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში მითითებული არის შუალედური (საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემის ფარგლებში გამოყოფენ ძირეულ საკითხებს ,ორიენტირდებიან კომპლექსური დავალების პირობაზე, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ცნებათა დამუშავებაში. ეს კი მიუთითებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე მათ მზაობას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეებში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გაანალიზება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით მარტივი ექსპერიმენტებისა და სადემონსტრაციო ცდების მეშვეობით.მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ,რომ მათ აქვთ ბაზა ელექტრონული რესურსებისაც ,რომლებსაც ერთად ქმნიან და აქტიურად განაახლებენ.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას საკლასო პროცესში ელექტრონული რესურსები აქტიურად იყოს გამოყენებული.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. ამას ადასტურებს სკოლაში განხორციელებული აქტივობები, ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები, პროექტები.**საბუნებისმეტყველო საგნებში** დაწყებით საფეხურზე მოსწავლის პიროვნულ , ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ორიენტიებული სასწავლო პროცესი დავინახე ,როცა ინტერვიურებისას მასწავლებელი საუბრობდა ,რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს ,საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ყოველივეს თქმულის დანახვა შევძელი კურიკულუმის ჩარჩოში მოწოდებული კომპლექსური დავალების იდეით,საკითხებით და რესურსების შესაბამისობით მოსწავლეთა ასაკობრივ დონესთან,ასევე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი სხვადასცვა კომპლექსური დავალების ნიმუშებითა და მიმყვანი დაგეგმილი აქტივობების შინაარსით.**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).მასწავლებლებმა იცოდნენ **ბუნებებისმეტყველებაში** დაწყებით საფეხურზე მომხდარი ცვლილებები სტანდარტის მიხედვით.აღნიშნეს, რომ დიდი დახმარება გაუწია ავტორიზაცის წინ განათლების სამინისტროს ქოუჩინგის პროცესმა.მათ წარმოდგენილი აქვთ დანართებად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ თემის შეჯამებისას იყენებენ თემის ინდიკატორებს ეროვნული სასწავლო გეგმიდან,ხოლო განმავითარებლი შეფასების წარმოებისას კი საგნის ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს გარდაქმნიან შეფასების კრიტერიუმებად.ამავდროულად აფასებენ მოსწავლის პროგრესს სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მასწავლებელებლებმა ინტერვიურებისას ისუბრეს ,რომ აქვთ მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალებების მიხედვით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესასწავლი თემის მიხედვით 5- 6 კლასებში. ჩანს რომ , შეფასების სისტემა ორინეტირებულია მთლიანად სასწავლო პროცესში მოახდინოს მოსწავლის ჰოლისტიკური განვითარება.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.პედაგოგებთან ინტერვიურებისა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ, კათედრაზე მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, მეტიც, მოსწავლეები თავად არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია.**საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი და წერითი კომენტარის სახით, რომელსაც წლის ბოლოს წერილობითი განმავითარებელი შეფასებით ასახავენ ელექტრონულ ჟურნალში. მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასებისთვის ზეპირი კომენტარით შემოიფარგლებიან, თუმცა მათი დახვეწა აუცილებლია. კერძოდ, რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

5.პედაგოგებთან ინტერვიურებისა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმები. მეტიც ამ მექანიზმების დახვეწა მუდმივად მიმდინარეობს საკათედრო სხდომებზე პედაგოგთა მიერ. **კათედრებზე** შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის.სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი .საბუნებისმეტყველო საგნის დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებმა მატერიალური სახით წარმოადგინეს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები .დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების 1-4 კლასებში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებები სოლო ტაქსონომიითა შექმნილი,თუმცა მასწავლებლებს მიმდინარე წელს არსებული ცვლილების მიხედვით გეგმავენ და წერენ განმავითარებელ შეფასებას კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებით.მათ ასეთი ნაშრომი წარმოადგინეს მესამე კლასისთვის და გამოაგზავნეს დამატებითი დოკუმანტაციის მოთხოვნნის შემდეგ .**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **საბუნებისმეტყველო საგნების** კათედრის მიერ მოსწავლეთა შემაჯამებელი ნამუშევრების გაანალიზება ხდებოდა მიმდინარე სასწავლო წელს. სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა-შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კურიკულუმები;
- განხორციელებული და დაგეგმილი სასწავლო პროექტები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ **დირექტორის მ/შ-ს ბრძანება 25/09/2023წ ბრძანება N01-03/55**
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების (1-6)კურიკულუმის ჩარჩოები;
- მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა, საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში არის მიმღებლობითი და მ1. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს **საბუნებისმეტყველო საგნების** კურკულუმის ჩარჩოში აქცენტები კეთდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. იმისათვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს დაწყებითი საფეხურის შედეგების დაძლევა აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მოხდეს სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნა.ის ფაქტი, რომ მასწავლებლები ქმნიან ადაპტირებულ ვერსიებს სხვადასხვა დავალებების და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ,რომელთაც წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს , მიუთითებს სკოლის მზაობაზე. სასკოლო კურიკულუმები იქმნება საბუნებისმეტყველო და დაწყებითის კათედრის წევრების. ურთიერთთანამშრომლობით .კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობებიც ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მომავალ წელს სასწავლო პროცესში შექმნილი იქნება მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია**

2.მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს ყოველთვის ხდებოდა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების, ასევე ინიციატივების გათვალისწინება, რომლის დროსაც აქცენტი კეთდებოდა მოსწავლის პროგრესზე. რომლის დადგენაშიც ეხმარებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოსწავლეთათვის სხვადასხვა აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, უფრო მეტი კლუბების ჩამოყალიბებას და სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოდ რომ სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.**საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს აძლევენ განმავითარებელ კომენტარებს, ასევე იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე ცოდნაზე დაშენებით აგებენ. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ იციან მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები,ამიტომაც სასწავლო პროცესის დაგეგმარებისას ისინი წინარე ცოდნის შეხსენების შემდეგ სხვადასხვა აქტივობებს გეგმავენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით და მიღებული ცოდნის განმტკიცებისას ახდენენ მოსწავლეთა ნაშრომების პრეზენტირებას . პროცესის დიფერენცირებას ახდენენ- რესურსების (ელექტრონული ან ბეჭდური),მეთოდებითა(ჯიგსოუ,შებრუნებული საკლასო ოთახი) და დროის (საშინაო ან საკლასო დავალებების სახით)ორგანიზებით.**სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

3.მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდება წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ კონკრეტული სკოლის შემთხვევაში მოხდა კათედრების და მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება, რამაც გუნდურობა, კოლეგიალურობა და თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახადა, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმშჯელოთ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გასაუბრებისას **საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება-განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას. კათედრის წლირ გეგმაში ნათლად ჩანს პედაგოგების აქტიური თანამშრომლობა და სასკოლო ცხოვრების გამრავლაფეროვნება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულა**

4.სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ერთობლივი მუშაობით მოხდა კურიკულუმის შემუშავება, თემების შერჩევა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები, აქტივობების (ფესტივალები, ზეიმები, ლაშქრობა, ექსკურსიები) დაგეგმვა მათი ჩართულობით. აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში არის პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. დაწყებითი კათედრის **საბუნებისმეტყველო საგნის** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიხატა, ის აზრი, რომ კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებისთვის. პედაგოგები მუდამ მუშაობენ და მოსწავლეებში დადებითი ქცევის განმტკიცებისთვის მუდამ ზრუნავენ.ის ფაქტი, რომ მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან და მოსწავლეებთანაც ჩანს სასკოლო პროექტების ჩატარებისას,რაც ასახულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმ;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- შეფასების მასალები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების (1-6)კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს, რომელიც კათედრის წევრების და დირექციის თანამშრომლობას მოიაზრებს. იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის ისეთნაირი გაწერა, რომ მის საფუძველზე მოხდეს სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების მონიტორინგი განხორციელდება უფრო ინტენსიურად და შეფასება იგეგმება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**საბუნებისმეტყველო საგნებიში** დაწყებითი საფეხური მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ.ასევე სააგკვეთილო პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები და მიღებული შედგების ანალიზი, შემდეგ კი უკუკავშირის მიწოდება ერთმანეთისთვის. აღნიშნული გამოცდილებების მიხედვით შექმნეს კურიკულუმები. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ.აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნა, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტიით ვლინდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ **საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები** მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე მუშაობენ.მასწავლებლებთან იინტერვიურებისას ისაუბრეს პედაგოგებმა მონიტორინგის სარგებელზე და საჭიროებაზე.**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.იმისთვის, რომ სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრა ეფექტურად განხორცილდეს აუცილებელია დიაგნოსტირების ჩატარება, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევა. სკოლაში იციან, რომ მონიტორინგის მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც სკოლის თითოეულ წევრს ეხმარება ადეკვატური/ობიექტური შეფასებაში. ამგვარად შესაძლებელი ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება და სკოლამ შეუფერხებლად გააგრძელოს სასწავლო პროცესი. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნებში დაწყებითის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სასკოლო საზოგადოების მიერ მონიტორინგის და შეფასების სისტემა აღიქმება მხარდაჭერის მექანიზმად,რადგანაც ეხმარება სკოლას მიაღწიოს დაგეგმილ მიზანს.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას, ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტური ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლა იყენებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. 2023-24 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის შედგენისას პირველ რიგში, გათვალიწინებულია მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, დავალებების შერჩევისას. პედაგოგებმა, განსაზღვრეს სწავლების პროცესის დასაგეგმი თემები, შეარჩიეს კომპლექსური ბუნების დავალებები, სასწავლო პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი აქტივობები. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული სასწავლო გეგმის ძლიერ მხარედ სასკოლო საზოგადოება მიიჩნევს ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათი ნაყოფიერ ჩართულობას. მასწავლებელბთან გასაუბრების დროს შეფასდა წინა სასწავლო წლის გამოცდილება. 2022/23 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი; გასვლითი გაკვეთილები; შეარჩიეს განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტი, იყენებენ შეფასებისა და თვითშეფასების კითხვარებს. სკოლა აპირებს უკვე გამცდილი პრაქტიკის განგრძობას და გაუმჯობესებას. ამგვარი მიდგომა ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას სკოლა დასკვნებს აკეთებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს სწავლა სწავლების პროცესში.აქვთ შემსვლელი და გამსვლელიბარათები,მიმართვაენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურ თიერთ შეფასებას, მუდმივად თანამშრომლობენ მშობლებთან, მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება როგორც წერილობით მშობლებთან, ასევე ზეპირად, უკუკავშირისა და ზეპირი კომნტა რების დახმარებით.მიმდინარეობს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, როგორც კათედრაზე, ასევე კათედრებს შორისაც, სკოლაში კლასის დამრიგებელი წარმოადგენს ერთდაგავრხიდს მშობლებსა და მასწავლებელებს შორის. სკოლაში არსებობს ხარისხის მართვი სა და შეფასების ჯგუფები, რომლებიც კრიტიკული მეგობრის ფორმატში აკვირდებიან კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით სკოლაში ინერგება პრაქტიკა კომპლექსური დავალებების დაგე გმვისა და განხორციელების კლასებში. გარდა ზეპირად გაზიარებული ინფორმაციის ასევე სკოლამ მოგვაწოდა სხვადასხვა დოკუმენტური,კერძოდ:შემუშავებულია უმეტესისაგნისკურიკულუმის ჩარჩო ცხრილები. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ელოს საგნობრივ კურიკულუმში/ებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ გრძელვადიან მიზნებს: (გლობალური ფუნქციური უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და სტანდარტის შედეგებს). სკოლის მიერ გაზიარებულ კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებთან დანართად წარმოდგენილი იყოკურიკულუმის ჩარჩო ცხრილში მოცემული კომპლექსური დავა ლების იდეის შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნო რომ ჩვენი საქართველოს მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი საჭიროებს სრულყოფას კერძოდ: საჭიროა გასწორდეს სავალდებულო თემების დასახელებები: მოცემულია: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი უნდა იყოს: .აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი); კურიკულუმში მოცემულია: თბილისი. უნდა იყოს: .საქართველოს დედაქალაქი - თბილისი ხოლო შემდეგი თემები დაემატოს. გურია; რაჭა-ლეჩხუმი; სახელმწიფო - ჩვენი საქართველო;

კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში არ არის მოცემული კომპლექსური დავალების იდეა ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, და შესაბამისი (კი და არა)მაგალითები შედარებისთვის. ასევე სახელმძღვანელოში მოცემული რესურსები კერძოდ მ ოსწავლის გრიფი რებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა ავტორი ან ავტორთა ჯგუფი. სასურველი ტეტქსტის დასახელება და გვერდები.მთლიანობაშიკათედრაზე წარმოდგენილი ნიმუშების ძირეული შესწავლა და გასაუბრების შედეგები იძლევა საფუძლე ვს, რომ სკოლა ფლობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის ტექნიკას, შინაარსობლივად სწორად აკონკრეტებს გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით შუალედ ურ მიზნებს, რომელსაც კიდევ უფრო დაკონკრეტებული სახით აღწერს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებში. სკოლის მიერ გაზიარებულ მასალებში მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის შედეგებსა და თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხთა კლასტერს. მაგალითად სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში გვ.52, ბმულის სახით მოცემულია, სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც გვ.30-დან გვ. 49-ის ჩათვლით მოცემულია შეფასების რუბრიკის ნიმუშები სხვადასხვა საგნის. ასევე კურიკულუმებს ერთვის განმავითარებელი და მეხუთე მეექვსე კლასებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი ამოცანაა მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების, დავალებების შერჩევისას. გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: როგორ შეუწყონ ხელი მასალის სიღრმისეულ გააზრებას; როგორ მოახერხონ, რომ ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად; როგორ დაეხმარონ მათ პიროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.სკოლაში დაწყებით საფეხურზე ჰყავთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები, კერძოდ მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში. თვითოეულ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ-ე გეგმები. მოსწავლეებისთვის სკოლას დასაქმებული ჰყავს სპეცმასწავლებელი და ორი ასისტენტი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის შექმნილია საგნების მიხედვით ისგ გეგმები სკო ლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში **საბუნებისმეტყველო საგნებში** აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. 2023-2024 სასწავლო წელს იგემება დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა“ ზეპირი გასაუბრების დროს მასწავლებელბმა გააზიარეს ინფორმაცია, რომ ისინი აწარმოებენ შემაჯამებელი წერების ანალიზს, ასევე ინტენსიურად ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. ხდება ურთიერ თდასწრება. წარმოებს კვლევები, კათედრაზე მუშაობის დროს მასწავლბლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევებს და ს აჭიროების შემთხვევაში ხდება სასკოლო კურიკულუმში მოცემული ცვლილებების განხორციელება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე მომცა შესაძლებლობა გაგმეგო რომ მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. კერძოდ: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. მოცემული ინფორმაცია შეგვიძლია ამოვიკითხოთ სკოლის მიერ გაზიარებულ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დაწყებითი ს აფეხურის ყველა საგნის ჩარჩო ცხრილებში რომლებიც უმეტესად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, უმეტეს შემთხვევაში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები. ასევე თემატური მატრიცების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების შედეგები გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა.**საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგების მიერ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით, მაგრამ იმისთვის რომ საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მიღწევის სრულად გაზომვა , აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლები სკოლაში ვიზიტის დროს მუშაობდნენ სასკოლო სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებისთვის დავალებების შექმნაზე. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომენტარი და სხვა. ხდება შედეგების ანალიზი, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სოციალური ქსელი.**საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს ,რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული მეთოდებიდან სკოლა იყენებდა მოსწავლეთა ტესტირებას, დაკვირვებას მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითშეფასებას , მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას და კომენტარებს. ახალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ ამ მეთოდების გამოყენებას და მტკიცებულებების სახით დოკუმენტების შენახვას.**შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ სკოლას აქვს როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე მემუშავებულია და გაზიარებულია ისგ. გეგმები, სკოლას აქვს გაზიარებული კათედრის ოქმები, რაც მიანიშნებს როგორც მოსწავლეთა მიღწევებზე მასწავლებლის დაკვირვებას უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე თვითონ სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას მასწავლებლები აანალიზებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორები, მოსწავლეათა ინტერესები, მოსწავლეების მონაწილეობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, აქტივობების განხორციელების პროცესი, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები. სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ტარდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მშობლებისა და მოსწავლეების მოსაზრებების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები, სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტები, საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა და ჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შეთავაზებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას არამარტო კლასის, არამედ სკოლის დონეზე.**საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის სწავლებისას იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლის სწავლის პროცესზე სხვადასხვა გარემო ფაქტორები ახდენს გავლენას , სკოლა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტის მიხედვით გეგმავს მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა განხორციელებული შეფასების ანალიზი;
- დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო 1-6 კლასების კურიკულუმი 2023-2024 სასწავლო წლის;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.**საბუნებისმეტყველო საგნებიში** შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვას(გრძელვადიანი სასწავლომიზნებზე ორინტირება). მათ აქვთ გამოცდილება სწავლების თითოეულ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს , სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**
2.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში კათედრები უნდა დაეყრდნონ წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინონ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები,ამიტომაც სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებისთვის მასწვლებლები ზრუნავდნენ დავალებების შექმნისათვის და მასალების მომზადებას ახორციელებდნენ .**კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

[x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის ბრძანება, საიდანაც ჩანს სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი საქმიანობები. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ პროცესებში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თუმცა ძირითადად პროცესის მთელი სიმძიმე გადადის კათედრის ხელმძღვანელებზე და დირექტორის მოადგილეზე. კათედრებზე მოხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, სადაც ადგილი ექნება იდეების გაცვლას, მსჯელობას და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. რას გულისხმობს კურიკულუმის შემუშავება? კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:1.1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);1.2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;1.3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;1.4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;1.5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;1.6. რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.როგორც ზემოთაა აღნიშნული, კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებსა და აქტივობებს მოარგებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. რაც გაკეთდება მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების ანალიზის საფუძველზე და შესაბამისად მოხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. შემუშავებული და გაზიარებული იქნება კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები. სკოლის ზემოთაღწერილი ხედვა ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში.**საბუნებისმეტყველო საგნებში** სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, ბ) სასკოლო პროექტებს, გ) სადამრიგებლო საათს, დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. თუმცა, როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა ეს მკაფიოდ არ ჩანს. ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე დაწყებით საფეხურთან შედარებით კლებულობს მშობელთა ჩართულობა . მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა დამრიგებელთან და მოსწავლეებზე დაკვირვებით ხდება. ამიტომ მომავლისთვის აქვთ მზაობა ,რომ მეტი სიზუსტით გამოიკვლევენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბუნებისმეტყველო კათედრა. პედაგოგებმა თქვეს, რომ ისინი ერთობლივად ცვლიან კომპლექსური დავალებების შინაარსს, რომლებსაც შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებში. ინტერვიურებისას აღნიშნეს,რომ სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხისა და ქვესაკითხების შერჩევისას კლასის მოსწავლეთა აკადემიურ დონესა და მათ ინტერესებს ითვალისწინებენ,რათა ბავშვები აქციონ სასწავლო პროცესში აქტიურ და დამოუკიდებელ პიროვნებებად. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, ინდიკატორთან 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.სკოლა გეგმავს, რომ სადამრიგებლო საათებზე და სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებზე მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, ამისთვის კი სკოლაში შექმნილია სასკოლო კლუბი-აგროკლუბი და სამოქალაქო კლუბი. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს, რომ სასკოლო კურიკულუმი ერთობლივი გუნდური მუშაობით შექმნეს, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შერჩეულია სასკოლო პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრების წესი"(არა-ნარკოტიკს, არა-ალკოჰოლს, არა-ფსიქოტროპულ წამლებს), შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. **საბუნებისმეტყველო კათედრა** მოიცავს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებს. კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები, მასწავლებელთა მიგნებები, წარმოქმნილი პრობლემები. მასწავლებლებს აქვთ ხედვა , იმისა, რომ მომავალ საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები(მშობლები) უფრო მეტი აქტიურობით ჩართონ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ჩანს, რომ საგნობრივი სტანდარტი საბაზო საფეხურისაა, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე, სასწავლო მიზნები ფორმულირებულია სტანდარის შედეგებიდან და მიემართება საგნობრივ ცნებებს. სასწავლო პროცესი საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო საფეხურზე იგეგმება სავალდებულო თემების მიხედვით, სადაც თითოეულ თემაში მუშავდება ყველა ცნება. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია. ერთერთი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ სკოლისთვის მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. ურთიერთთანამშრომლობაზე დაყრდნობით სკოლა აპირებს დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები. ეს პროექტები შემუშავებული იქნება არა მხოლოდ საგნობრივი კურიკულუმების, არამედ არაფორმალური განათლების ფარგლებშიც. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სასკოლო საზოგადოების წევრებით. ჩატარდება გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგები გაანალიზდება და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. ყველას თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ექნება, პასუხისმგებლობები და ფუნქციები სათანადოდ იქნება გადანაწილებული, ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპებზე დეტალურად ისაუბრეს **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებელებმა. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, კერძოდ, ის რომ ისეთი კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებიც მეტ დაინტერესებას გამოიწვევდა მოსწავლეებში. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიუი ოთახი არ აქვს,ამიტომაც მასწავლებლები მოსწავლეთა ნაშრომებს და სასწავლო მასალას ,რომელსაც იყენებენ ან ქმნიან ბავშვები საასწავლო პროცესის მსველელობის დროს ინახავენ სკოლის სამასწავლებლოში.სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების აგროკლუბი და ქიმიის წრე,რომელიც წარმოადგენს მაგალითს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობისა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მაგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დირექციას წინასწარ უთანხმდებიან რა ფინანსური საშუალება აქვთ სასწავლო მასალების შესაძენად, მშობლებთან ხდება გამოკითხვა როგორ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა კლუბის ან წრის მუშაობაში .კათედრის წევრები საგნობრივად ჯგუფდებიან და მოცემული საშუალებებით გეგმავენ კლუბში საგნის შიგნით ან საგანთშორის მათი სასკოლო თემისთვის საინტერესო აქტივობებს,რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს.მათ აღნიშნეს,რომ ასე გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასკოლო პროექტებს .**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების, ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით და სხვა. კურიკულუმის საბოლოო ვერსია გაზიარებული იქნება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, ასევე კლასების დახურულ ჯგუფებში და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. სკოლა ინფორმაციის გასაზიარებლად გეგმავს სკოლის ვებგვერდის გამოყენებასაც, რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია **საბუნებისმეტყველო საგნებში** აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით ,რომლებიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სხვადასხვა გზებით:ელექტრონული ფოსტა; - დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; - სოციალური მედია; - ბეჭდვითი მასალები; - საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი ჩართულობის ამსახველი დოკუმენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ ბრძანება. ·
- 2023-2024 სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო კათედის მუშაობის ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის;
- საბუნებისმეტყველო კათედის სამუშაო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლის;
- აგროკლუბის და ქიმიის წრის პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელების მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დასტურია სკოლაში არაფორმალური განათლების წარმატებული პრაქტიკა (აგროკლუბი, ქიმიის წრე, პროექტი „დედამიწა ჩვენი სახლია“, სამოქალაქო კლუბი „მომავლის გზა“, სხვადასხვა სასწავლო პროექტები), რაც მიმართულია გრძელვადინი მიზნების მისაღწევად ფორმალურ განათლებასთან ერთად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება, არაფორმალური განათლების შეთავაზება მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას, გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სკოლას აქვს მზაობა, რომ პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს.**საბუნებისმეტყველო საგნებში** შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ორიენტირება ხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის, მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც . კერძოდ, **რუსული ენის** მე-7 და მე-9 კლასების ჩარჩოებში ზოგიერთ თავში ასახულია ქვესაკითხების არასრული ჩამონათვალი და მითითებულია კონტექტ - მაგალითის ველში და/ან აკლია კონტექსტ- მაგალითები. ამასთან, ორივე უცხოურ ენაში, უმეტესად წარმოდგენილია ერთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალება რაც ვერ ფარავს სრულ თემას. მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. ***აღნიშნულის შესახებ მიეცა რჩევა/რჩევები.*** **კერძოდ, აისახოს ყველა ცნება ქვეთავების სრულ ჩამონათვალთან მიმართებით; კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთონ/შეავსონ ყველა კომპონენტი და მიუთითონ შესაბამის ველში; კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს შერჩეული თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი).** მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი იყოს პროცესზე ორიენტირებული და მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელების მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწნებული თემები და საკითხები. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელებისას მოსწავლეები შექმნიან ისეთ პროდუქტს, რომელიც მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში დაეხმარება და მისცემს თვითგამოხატვის საშუალებას. **საბუნებისმეტყველო საგნებიში** მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში , სადაც სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, საკითხები,სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა წარმოდგენილი ცნებები, ქვესაკითხები. კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში თითო ძირეულ საკითხზე. პოზიტიური სასწავლო გარემოა სკოლაში ,რაზეც მიუთითებს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა ნაშრომები,კოლეგათა შორის თანამშრომლობა ფორმალურ და არაფორმალურ გარემოსი. ეს კი ხელშემწყობია მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებისათვის. ბიოლოგიაში ,ფიზიკაში და ქიმიაში სხვადასხვა კლასში მუშავდება სავალდებულო თემები ,თითო თემაში ყველა ცნება,ნაწილობრივია საკიხთის ქვეშ კლასტერული გამოყოფა,ძირითად რესურსთან ერთად სრულადაა დამატებითი რესურსები წარმოდგენილი.მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს თემატური მატრიცის ნიმუშები,სადაც წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ადგილი სასწავლო პროცესში და მიმყვანი სხვადასხვა აქტივობები.**კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში.საბაზო საფეხურზე არ ირიცხება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიური სწავლების მეთოდებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს დაგეგმავენ შესაბამისად. სწავლებისას ხშირად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე.**საბუნებისმეტყველო საგნებში** სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომს. უნდა აღინიშნოს ,რომ სკოლას ამ ეტაპზე არ მოეპოვება სსსმ საჭიროების მოსწავლე საბაზო საფეხურზე. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი ყველა სგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. **საბუნებისმეტყველო საგნების** პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.ჩვენი სკოლაში ვიზიტოს დროს ისინი აქტიურად მუშაობდნენ მიმდინარე თემებისთვის რუბრიკების შექმნაზე. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, კერძოდ, ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის საგნების მასწავლებლები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში წინა წელს იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას SOLO ტაქსონომიის შესაბამისი რუბრიკით, რომლის ნიმუშიც წარმოდგენილია სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში. ამ ეტაპისთვის კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეფასების რუბრიკების, სადაც სწორად ჰქონდათ ასახული კრიტერიუმები და მოსწავლეთა მოლოდინები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებიან გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს(ფიზიკის ,ბიოლოგიის და ქიმიის მიმართულებით).საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში იკვეთება ბუნდოვანება ზოგიერთ კომპონენტთან მიმართებით. **რუსული ენის** მე-7 კლასში წარმოდგენილ რუბრიკაში აღინიშნება მცირეოდენი ხარვეზები. კერძოდ, არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმებში ნაკლებად დეტალურადაა აღწერილი თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან (და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან) მიმართებით. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას , რუსული ენის მე-7 კლასში წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში აღინიშნება მცირეოდენი ხარვეზები, თუმცაღა მთლიანობაში ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და მიმართულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებზე, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ინგლისური ენის მე-9 კლასში, რომელიც აკმაყოფილებს მეთოდურ ორიენტირებს და მიემართება მე-3 თაობის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით.რაც შეეხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების ანალიზს, კათედრას შემაჯამებელ ოქმში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილი აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მაისის თვეში. **რაზეც მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება მოახდინოს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.** მიუხედავად აღნიშნულისა, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და კომპეტენცია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაანალიზებლად მიზნობრივად აწარმოონ სადიაგნოსტიკო დოკუმენტი. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს,** ***ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია***
5.კათედრაზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. მასწავლებელები კათედრებზე უზაიარებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, შედეგებზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. წამოდგენილი დოკუმენტაციით (მასწავლებელთა ურთიერთშეფასება, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბიკები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა.
საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მათი წინარე გამოცდილება. კერძოდ, დაგეგმვის დროს ისინი იკრიბებიან და მსჯელობენ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ უფრო კარგი შედეგები აჩვენა ბავშვებში, რომელმა ნაკლები და ცდილობენ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნან/განაახლონ კურიკულუმები. სკოლამ მატერიალურადაც წარმოადგინა 2022-2023 წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ბარათები და გადმოაგზავნა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვნის დროს. კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წლის სრულ შესაბამისობაშია საგნობრივი სტანდარტის მიზნებთან.**დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კომპლექსური დავალებები ;
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი 2023 -2024 სასწავლო წლის;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, საწრეო მუშაობის პროგრამის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის, მასწავლებლის პორტფოლიოს, გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოცემული შუალედური მიზნები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში ; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა სიღრმისეულად ისაუბრეს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გასაღვივებელ სხვადასხვა აქტივობებზეც. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ , მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, მასწავლებლის წიგნებში მოცემული მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ავითარებს თანამშრომლობით სწავლას. როდესაც მოსწავლე მუდმივად გასცემს და იღებს თანატოლისგან დაუყოვნებლივ უკუკავშირს, ეს უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლობის გაზიარებას და ამაღლებს მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას. საბაზო საფეხურზე ასევე წარმოადგინეს ინგლისური ენის საწრეო მუშაობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ცოდნის გაღმავებას და ტოლერანტი მოქალაქის აღზრდას. მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ საწრეო მუშაობით დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ასეთი აქტივობებია მაგალითად, ოსკარ უაილდის პერსონაჟების გაცნობა ზღაპრიდან ,,თავკერძა გოლიათი“, ზღაპრის პრეზენტაცია , ოსკარ უაილდის პერსონაჟების გაცნობა ზღაპრიდან ,,ბედნიერი პრინცი“ ზღაპრის პრეზენტაცია, მოქმედი პერსონაჟების დახასიათება , დისკუსია თემაზე“ რას ნიშნავს ნამდვილი მეგობარი“, თეატრალური წარმოდგენა ოსკარ უაილდის ზღაპრების მიხედვით და ა.შ. საერთო შეფასებით, კურიკულუმის გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაეხმარონ მოსწავლეებს მიიღონ როგორც სასკოლო, ისევე ცხოვრებისეული გამოწვევები და ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური თვითრწმენა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მასწავლებლებს თემის ფარგლებში ისეთი კომპლექსური დავალება შეაქვთ , რომლითაც მოსწავლე ამუშავებს ინფორმაციას , ახორციელებს ინტერაქტიურ აქტივობებს და ნაბიჯ ნაბიჯ მიდის ცოდნის აგებისკენ სამიზნე ცნებების დამუშავების გზით . გასაუბრებამ აჩვენა ,რომ მოსწავლის მოტივაციაზე ზრუნვა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა მასწავლებლების ძირითადი ორიენტირია.სასწავლო თემების დაგეგმარებისას როცა მაორიენტირებლად აქვთ შუალედური (თემის ფარგლებში ძირითადი საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნები ,მასწავლებლები გეგმავენ მიმყვან ისეთ აქტივობებს,რომ მოსწავლე აქციონ შემოქმედებით პიროვნებად.ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან პოზიტიური, მოწესრიგებული, რესურსებით მდიდარი (ფიზიკის ქიმიის და ბიოლოგიის სასწავლო მასალები განთავსებული ჰქონდათ კარადებში) ექპერიმენტების ჩასატარებლად არესბული რესურსებით შექმნილია გარემო, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. სკოლაში ყოფნისას ვნახე მატერიალური სახით მოსწავლეთა ნამუშევრები,ძალიან საინტერესო იყო შექმნილი პროდუქტები . მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია არ აქვთ საბუნებისმეტყველო ოთახი , მაგრამ სკოლაში ისინი ატარებენ მარტივ საკლასო ექსპერიმენტებს , ხოლო საგნით დაინტერესებული მოსწვლეები ჰყავთ კლუბში ან წრეში გაერთიანებული , სადაც შეუძლიათ ხანგრძლივი ექსპერიმენტების ჩატარება და კვლევითი უნარების განვითარება. პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ხშირად მოსწავლეებს საშინაო დავალების სახითაც აწვდიან ცდებს შესასრულებლად, რომელთა ნაშრომებს კლასში განიხილავენ.პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ხშირად მოსწავლეებს საშინაო დავალების სახითაც აწვდიან ცდებს შესასრულებლად, რომელთა ნაშრომებს კლასში განიხილავენ.პედაგოგებმა ისაუბრეს,რომ კლასში ხშირად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იყენებენ ელექტრონულ რესურსებს ,რადაგანაც სკოლის მატრიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა ამის საშუალებას.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას***ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია*

2. წარმოდგენილი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტესად ისინი დავალების პირობის რელევანტურია და გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც საჭიროებს უფრო მეტ გამართულობას და სიცხადეს, თუმცა, უმეტესად ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. მაგალითად, რუსული ენის მე-8 კლასის ერთი დავალების პირობა ასეთია „ შექმენი პოსტერი თემაზე ,,საქართველოსა და სხვა ქვეყნის დღესასწაულები. წარმოაჩინე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები". ამ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას სხვადასხვა სოციო- კულტურული მსგავსება განსხვავებები და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების მიზნობრიობაც. კერძოდ, მათ ისაუბრეს ინგლისური ენის საწრეო მუშაობის პროგრამაზე, კლასგარეშე / სასკოლო თემატური ღონისძიებებზე და სხვა თანამშრომლობით აქტივობებზე, რაც ეხმარება სასწავლო პროცესს მიუახლოვდეს მოსწავლის გამოცდილებას, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება და რაც განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებისთვის წინარე ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობა. მათთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყოველთვის იყენებენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მოსწავლეების გაარკვეულ გამოცდილებას . სამასწავლებლოში გამოფენილი იყო საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ნაშრომები.ასევე სკოლის მიერ მოწოდებული 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი რომელსაც დაეფუძნება მიმდინარე სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით,** ***ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია***

3.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტში, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებში/აქტივობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში. ამ მიმართულებით, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევების გასაანალიზებლად კათედრას შერჩეული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმის წარმოება, რაც ეფექტურ სადიაგნოსტიკო ინსრუმენტს წარმოადგენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდგომი ეტაპისთვის. გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამისა, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს საკვანძო შეკითხვების საშუალებით მეტაგოგნიციის განვითარებაზე და ასევე დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება ამ მიმართულებით. კერძოდ,მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ თვითშეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობა მოსწავლეებს წაახალისებს და განუვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მეტად აპირებენ ჩართონ მოსწავლეები შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შემუშვების პროცესში, რათა მათთვის გამჭვირვალე იყოს, რას ითხოვენ მათგან და რაზე აქვთ მეტი სამუშაო. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** ამ ეტაპზე კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს ,რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მოსწავლეებს შორის, თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ თანამშრომლობით სწავლებას ხშირად მიმართავენ მასწავლებლებიც. კურიკულუმში რამდენიმე კომპლექსურის იდეაში ჩანს, რომ საგნობრივ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მოსწავლეები ისწავლიან მოდელების, კომიქსების, ბუკლეტების შექმნას და შეძენილი ცოდნის სხვა საგნებსა თუ ცხოვრებაში გამოყენებას. იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს საბაზო საფეხურზე დაწყებითისაგან განსხვავებულ, სწავლის ახალ სტრატეგიებს ,რათა შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში კრეატიული პროდუქტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიურებისას ,რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე მთელი სასწავლო წელი ზრუნავენ,რათა გაზარდონ მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,** ***ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია***

4.წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. საბაზო საფეხურის **საბუნებისმეტყველო საგნების** (ფიზიკა,ბიოლოგია,ქიმია) კურიკულუმი წარმოდგენილია ჩარჩოს სახით და კარგად ჩანს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება. ინტერვიუში კარგად გამოჩნდა, რომ ესმით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატრიცების შაბლონებით და მასწავლებლის მეთოდური წიგნებით. 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მრავალფეროვანი პროდუქტები აქვთ გათვალისწინებული .მასწავლებლებმა იციან ,რომ მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე საკლასო და არაფორმალურ აქტივობებში ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და მოსწავლის ჩამოყალიბებას ,რომელსაც შესწევს მიღებული თეორიული ცოდნა დააკავშირონ ცხოვრებას .ასეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას სასკოლო პროექტებში ჩართულობაც ეხმარება,რომელიც ფორმალურ სასწავლო გარემოსთან ერთად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული),** ***ინდიკატორი2.2.1.4. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებს კურიკულუმის ჩარჩოს თემებში აქვთ სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები წარმოდგენილი , რითაც უზრუნველყოფენ პირობისეული ცოდნის შეძენას და მოსწავლის სხვადასხვა უნარების გაერთიანებით მათ გარდაქმნას შემოქმედებით არსებად.წინარე ცოდნაზე დაფუძნებით როცა მოსწავლე აგებს ახალ ცოდნას და ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტებს , სწავლობს პრობლემური სიტუაციების ანალიზს , ახორციელებს მოდელების შექმნას, ქმნის პოსტერებს რეალურად მისი თვითშეფასებას იზრდება და განწყობაც პოზიტიური ხდება სასწავლო პროცესის მიმართ. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.ამ მიმართულებით სადამრიგებლო საათი,არაფორმალური განათლება (კლუბი და წრე) ხდება დამხმარე საშუალება მოსწავლეების განვითარებისათვის. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ სწორედ მათი აგროკლუბის პროგრამა მიმდინარე სასწავლო წელს შემუშავებული ჰქონდათ ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება,** ***ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია***

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უცხოური ენები

- საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები პირველ და მეორე უცხოურ ენებში;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- რესურსი 12- უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინგლისური ენის საწრეო მუშაობის პროგრამა;
- მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები;
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების 2022 -2023 სასწავლო წლის განხორციელებული კომოპლექსური დავალების ბარათები და მიმყვანი აქტივობები;
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი 2023 2024 სასწავლო წლის;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი სასწავლო პროცესის ამსახველი მასალებით;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამუშაო გეგმა 2023 2024 სასწავლო წლის;
- აგროკლუბის და ქიმიის წრის პროგრამები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

[redacted] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და საკითხებს. ისმება საკვანძო შეკითხვები და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის კურიკულუმებში შუალედური (საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. ამას ადასტურებს სკოლაში განხორციელებული აქტივობები, ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები, პროექტები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. თუმცა იმისთვის, რომ ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე. კურიკულუმში არსებული დავალებები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, იმიტომ რომ ერთად მუშაობენ ფიზიკის ,ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმის შექმნის პროცესში.**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.**საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის თემატური მატრიცები,კომპლექსური დავალების ბარათები და მიმყვანი აქტივობები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები და ასევე მიმდინარე სასწავლო წლის კურკულუმის ჩარჩოები,რომლებიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს,მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

4.კათედრაზე მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, მეტიც, მოსწავლეები თავად არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია. (ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

საბუნებისმეტყველო კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას(საკლასო და საშინაო დავალებები) და შემაჯამებელი დავალების დროს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ბიოლოგიის , ქიმიის და ფიზიკის საგნების მიხედვით, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორებზე დაფუძნებით .შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანია -რადაგანაც იციან კათედრის წევრებმა და ადმინისტრაციამ, აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს.მასწავლებლებისსთვის რუბრიკების შედგენისას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტია მთვარი ორიენტირი.**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

5.პედაგოგებთან ინტერვიურებისა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმები. მეტიც ამ მექანიზმების დახვეწა მუდმივად მიმდინარეობს საკათედრო სხდომებზე პედაგოგთა მიერ. (ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმაში .შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა რეკომენდაცია.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ მოსწავლეთა ნამუშევარი მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელოს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვა . 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამის თქმის პედაგოგებთან ინტერვიუ და მათი მზაობა ,რომ გამართული ჰქონდეთ დოკუმენტაციები მტკიცებულებების სახით.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- სასწავლო პროექტები;
- კომპლექსური დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ **დირექტორის მ/შ-ს ბრძანება 25/09/2023წ ბრძანება N01-03/55;**
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კომპლექსური დავალებები და მიმყვანი აქტივობები;
- 2023-2024 წლის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამუშაო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლის;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- სასკოო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის სოციალურ ქსელში არსებული მასალები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა, საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში არის მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.სკოლის 2023- 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში **საბუნებისმეტყველო საგნებში** სკოლის ხედვისას წარმოდგენილია ,რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში. ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. უნდა აღინიშნოს ,რომ სკოლას ამ ეტაპზე საბაზო საფეხურზე არ მოეპოვება სსსმ საჭიროების მოსწავლე .**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

2.მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს ყოველთვის ხდებოდა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების, ასევე ინიციატივების გათვალისწინება, რომლის დროსაც აქცენტი კეთდებოდა მოსწავლის პროგრესზე. რომლის დადგენაშიც ეხმარებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოსწავლეთათვის სხვადასხვა აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, უფრო მეტი კლუბების ჩამოყალიბებას და სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოდ რომ სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.**საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნებში** დიფერენცირებული სასწავლო პროცესის წარმართვა ჩანს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტებით, რომელიც გამოფენილი აქვთ სკოლას სამასწავლებლოში. სასწავლო პროცესში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი კომლექსური დავალებები, რომლებიც მათ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ინტერესებს მორგებულია. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს აძლევენ განმავითარებელ კომენტარებს, ასევე იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართებიან. მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე ცოდნაზე დაშენებით აგებენ. მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტების მატერილური სახით ნახვა მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეებს უყალიბდებათ არა მარტო მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივი ცნებების მიმართ, არამედ პარალელურად უაქტიურდებათ ფუნქციურ კომპონენტური უნარები, როგორიცაა მაგალითად შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები სკოლაში მიმდინარეობს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში-საბაზო საფეხურის მოსწავლეები არიან აგროკლუბის და ქიმიის წრის წევრებიც, რომელნიც კლუბში მეურვეობას უმცროსსკლასელებს უწევენ. მათთვის აქტივობების წარმართვისას გათვალისწინებულია საბაზო ასაკის მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები. ეს კი მოსწავლეებში ავტონომიურობას უწყობს ხელს და უყალიბებს მათ თვითრეგულირებად ქცევას. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

3.მასწავლებლის გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდებოდა წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ კონკრეტული სკოლის შემთხვევაში მოხდა კათედრების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება. რამაც გუნდურობა, თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახადა. გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება-განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.წარმოადგინა სკოლამ „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება და განხორციელება წარმოადგენს.**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

3.სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ერთობლივი მუშაობით მოხდა კურიკულუმის შემუშავება, თემების შერჩევა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები, აქტივობების (ფესტივალები, ზეიმები, ლაშქრობა, ექსკურსიები) დაგეგმვა მათი ჩართულობით, ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში არის პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

საბუნებისმეტყველო საგნის კათედრის ფარგებლებში მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიხატა ის აზრი, რომ კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებისთვის პედაგოგები მუდამ მუშაობენ და დადებითი ქცევის განმტკიცებისთვის მუდამ ზრუნავენ საბაზო ასაკის მოსწავლეებში. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან,რომლებიც აქტიურად ჰყავთ ჩართული შიდად სასკოლო ღონისძიებებში.არაფორმალური განათლების კუთხითაც აქტიურია სკოლა (იხილეთ სკოლის ფეისბუქგვერდი)რაც დადებით სასკოლო კლიმატს ქმნის. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *შეფასების მასალები;*
- სკოლის მისია და ხედვა;
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კომპლექსური დავალებები და მიმყვანი აქტივობები;
- 2023-2024 წლის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო კათედრის მუშაობის შემაჯამებელი ანალიზი;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი აგროკლუბისა და ქიმიის წრის მუშაობის შესახებ;
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- [x] **შეესაბამება**
- [ ] **მეტწილად შეესაბამება**
- [ ] **ნაწილობრივ შეესაბამება**
- [ ] **არ შეესაბამება**

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს, რომელიც კათედრის წევრების და დირექციის თანამშრომლობას მოიაზრებს. იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის ისეთნაირი გაწერა, რომ მის საფუძველზე მოხდეს სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების მონიტორინგი განხორციელდება უფრო ინტენსიურად და შეფასება იგეგმება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**საბუნებიოსმეტყველო საგნის** მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ. ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის მიწოდება ერთმანეთისთვის. აღნიშნული გამოცდილებების მიხედვით შექმნეს კურკულუმები. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტიით ვლინდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე მუშაობენ.მასწავალებელებმა ისაუბრეს ,რატომ იყო მათთვის ურთიერთდასწრება მნიშვნელოვანი და წარმოადგინეს ურთიერთდასწრებისას მათი რეფლექსიები.**ონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.იმისთვის, რომ სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრა ეფექტურად განხორციელდეს აუცილებელია დიაგნოსტირების ჩატარება, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევა. სკოლაში იციან, რომ მონიტორინგის მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც სკოლის თითოეულ წევრს ეხმარება ადეკვატური/ობიექტური შეფასებაში. ამგვარად შესაძლებელი ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება და სკოლამ შეუფერხებლად გააგრძელოს სასწავლო პროცესი. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.**საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. სასკოლო საზოგადოების მიერ მონიტორინგის და შეფასების სისტემა აღიქმება მხარდაჭერის მექანიზმად,რადგანაც ეხმარება სკოლას მიაღწიოს დაგეგმილ მიზანს.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას, ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კათედრის სამოქმედო გეგმა ;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტური ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლა იყენებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. 2023-24 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის შედგენისას პირველ რიგში, გათვალიწინებულია მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, დავალების შერჩევისას. პედაგოგებმა, განსაზღვრეს სწავლების პროცესის დასაგეგმი თემები, შეარჩიეს კომპლექსური ბუნების დავალებები, სასწავლო პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი აქტივობები. საბაზო საფეხურზე შემუშავებული სასწავლო გეგმის ძლიერ მხარედ სასკოლო საზოგადოება მიიჩნევს ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმტკიცებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ნაყოფიერ ჩართულობას. წინა სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი; გასვლითი გაკვეთილები; შეარჩიეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტი, იყენებენ შეფასებისა და თვითშეფასების კითხვარებს. ამგვარი მიდგომა ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას სკოლა დასკვნებს აკეთებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს სწავლა სწავლების პროცესში. აქვთ შემსვლელი და გამსვლელი ბარათები,მიმართვაენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას, მუდმივად თანამშრ ომლობენ მშობლებთან,მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება როგორც წერილობით მშობლებთან, ასევე ზეპირად, უკუკავშირ ისა და ზეპირი კომნტარების დახმარებით.მიმდინარეობს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, როგორც კათედრაზე, ასევე კათედრებ ს შორისაც, სკოლაში კლასის დამრიგებელი წარმოადგენს ერთდაგავრხიდს მშობლებსა და მასწავლებელებს შორის. სკოლაში არსებო ბს ხარისხის მართვისა და შეფასების ჯგუფები, რომლებიც კრიტიკული მეგობრის ფორმატში აკვირდებიან კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით სკოლაში ინერგება პრაქტიკა კომპლექსური დავალებების დაგე გმვისა და განხორციელების კლასებში. გარდა ზეპირად გაზიარებული ინფორმაციის ასევე სკოლამ მოგვაწოდა სხვადასხვა დოკუმენტური, კერძოდ: სრულყოფილად შემუშავებულია უმეტესი საგნის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები. მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში არ ეწერა არცერთი : კომპლექსური დავალების იდეა ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და (კი და არა)მაგალითები შედარებისთვის. ასევე კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებს ეკლდა სახელმძღვანელოში მოცემული რესურსები კერძოდ მოსწავლის გრიფირებული სახელმძღვანელოს გვერდები. არ იყო მოცემული ასევე სახელმძღვანელოს გამომცემლობა და ავტორებიც.

მოქალაქეობის გეოგრაფიისა და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში/ებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ გრძელვადიან მიზნებს: (გლობალური ფუნქციური უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და სტანდარტის შედეგებს). სკოლის მიერ გაზიარებულ იყო კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კათედრაზე წარმოდგენილი ნიმუშების ძირეული შესწავლა და გასაუბრების შედეგები იძლევა საფუძლევს, რომ სკოლა ფლობს მ ესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ს შექმნის ტექნიკას, შინაარსობლივად სწორად აკონკრეტებს გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით შუალედურ მიზნებს, რომელს აც კიდევ უფრო დაკონკრეტებული სახით აღწერს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებში. სკოლის მიერ გაზიარებულ მასალებში მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის შედეგებსა და თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხთა კლასტერს. მაგალითად სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფსებაში გვ.52, ბმულის სახით მოცემულია, სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც გვ.30-დან გვ. 49-ის ჩათვლით მოცემულია შეფასების რუბრიკის ნიმუშები სხვადასხვა საგნის. ასევე კურიკულუმებს ერთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი ამოცანაა მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების, დავალებების შერჩევისას. გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: როგორ შეუწყონ ხელი მასალის სიღრმისეულ გააზრებას; როგორ მოახერხონ, რომ ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად; როგორ დაეხმარონ მათ პიროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. 2023-2024 სასწავლო წელს იგემება საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა“ ზეპირი გასაუბრების დროს მასწავლებელბმა გააზიარეს ინფორმაცია, რომ ისინი აწარმოებენ შემაჯამებელი წერების ანალიზს, ასევე ინტენსიურად ახორციელებ კომპლექსურ დავალებებს. ხდება ურთიერთდას წრება. წარმოებს კვლევები, კათედრაზე მუშაობის დროს მასწავლბლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევებს და საჭიროებ ის შემთხვევაში ხდება სასკოლო კურიკულუმში მოცემული ცვლილებების განხორციელება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე მომცა შესაძლებლობა გამეგო, რომ მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. კერძოდ: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. მოცემული ინფორმაცია შეგვიძლია ამოვიკითხოთ სკოლის მიერ გაზიარებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმის საბაზო საფეხურის ყველა საგნის ჩარჩო ცხრილებში, რომლებიც უმეტესად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, უმეტეს შემთხვევაში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები. ასევე თემატური მატრიცების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების შედეგები გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორცილედება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შესაფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მიღწვების სრულად გაზომვა საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფახების რუბრიკების სტანდარტზე დაფუძნებით.სკოლაში ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სწორედ ჩვენი ვიზიტის დროს მუშაობდნენ სადიაგნოსტიკო დავალების შექმნაზე საფეხურის ფარგლებში.**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბაზო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. ხდება შედეგების ანალიზი, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სოციალური ქსელი დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემთა შესაგროვებლად **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** პედაგოგები, ძირითადად იყენებენ მოსწავლეთა ტესტირებას,ინტერვიურებას მოსწავლეებთან,ფოკუს -ჯგუფებთან მუშაობას სკოლის ბაზაზე.პედაგოგებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს ,რომ ეს პროცესი ძირითადად რაოდენობრივ მეთოდის გამოყენებით წარიმართება. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია**

4.სკოლაში შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ სკოლას აქვს როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებული, იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, ასევე მემუშავებულია და გაზიარებულია სასკოლო პროექტები, მასწავლებლის პოტფოლიო, სკოლას აქვს გაზიარებული კათედრის ოქმები, რაც მიანიშნებს როგორც მოსწავლეთა მიღწევებზე მასწავლებლის დაკვირვებას უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე თვითონ სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას მასწავლებლები აანალიზებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორები, მოსწავლეათა ინტერესები, მოსწავლეების მონაწილეობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, აქტივობების განხორციელების პროცესი, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები. სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ტარდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მშობლებისა და მოსწავლეების მოსაზრებების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები, სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტები, საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა და ჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შეთავაზებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას არამარტო კლასის, არამედ სკოლის დონეზე.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების საბაზო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი გარე ფაქტორები, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ჰქონდეს ვალიდური და გამჭვირვალე.**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა განხორციელებული შეფასების ანალიზი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი საბაზო საფეხურის 2023-2024 სასწავლო წლის.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებების დამუშავებაზე(გრძელვადიანი სასწავლომიზნებზე ორინტირება). მათ აქვთ გამოცდილება სწავლების თითოეულ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს , სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში.სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს აპირებს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.სამომავლოდ ამ კუთხით აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან სხვადასხვა სასწავლო მასალათა ეფექტიანობას და ვალიდობის მონაცემებს,მასწავლებლის დაგეგმილი და რეალიზირიბული პროცესების რეფლექსიებს.
კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი საბაზო საფეხურის 2022-2023 სასწავლო წლის კომპლექსური დავალებები და მიმყვანი აქტივობები;

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი საბაზო საფეხურის 2023-2024 სასწავლო წლის;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომონენტი 2.1 **კურიკულუმის შემუშავება**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის ბრძანება, საიდანაც ჩანს სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი საქმიანობები. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ პროცესებში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თუმცა ძირითადად პროცესის მთელი სიმძიმე გადადის კათედრის ხელმძღვანელებზე და დირექტორის მოადგილეზე. კათედრებზე მოხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, სადაც ადგილი ექნება იდეების გაცვლას, მსჯელობას და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. რას გულისხმობს კურიკულუმის შემუშავება? კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:1.1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);1.2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;1.3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;1.4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;1.5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;1.6. რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.როგორც ზემოთაა აღნიშნული, კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებსა და აქტივობებს მოარგებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. რაც გაკეთდება მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების ანალიზის საფუძველზე და შესაბამისად მოხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. შემუშავებული და გაზიარებული იქნება კურიკულუმები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები. სკოლის ზემოთაღწერილი ხედვა ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, ბ) სასკოლო პროექტებს, გ) სადამრიგებლო საათს, დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. თუმცა, როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა ეს მკაფიოდ არ ჩანს. ინტერვიუს დროს კი გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე დაწყებით საფეხურთან შედარებით კლებულობს მშობელთა ჩართულობა . მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა დამრიგებელთან და მოსწავლეებზე დაკვირვებით ხდება. ამიტომ მომავლისთვის აქვთ მზაობა ,რომ მეტი სიზუსტით გამოიკვლევენ სასკოლო საზოგადების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბუნებისმეტყველო კათედრა. პედაგოგებმა თქვეს, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხისა შერჩევისას კლასის მოსწავლეთა აკადემიურ დონესა და მათ ინტერესებს ითვალისწინებენ.სკოლას კურიკულუმის განხორციელების ინსტრუმენტი უკვე შერჩეული აქვს,რაც გასაუბრებისას აღნიშნეს.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა გეგმავს, რომ სადამრიგებლო საათებზე და სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებზე მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, ამისთვის კი სკოლაში შექმნილია სასკოლო კლუბი-აგროკლუბი და სამოქალაქო კლუბი. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს, რომ სასკოლო კურიკულუმი ერთობლივი გუნდური მუშაობით შექმნეს, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შერჩეულია სასკოლო პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“(არა-ნარკოტიკს, არა-ალკოჰოლს, არა-ფსიქოტროპულ წამლებს), შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ყოველივე ზემოთთქმული დასტურდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, რაც სკოლამ წამოადგინა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე. **საბუნებისმეტყველო კათედრა** მოიცავს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებს. კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში მასწავლებლბმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი,მასწავლებელთა მიერ მიგნებული პრობლემები. საგნობრივ კურიკულუმში ჩანს,სრომ საგნობრივი სტანდარტი საშუალო საფეხურისაა, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე, სასწავლო მიზნები ფორმულირებულია სტანდარის შედეგებიდან და მიემართება საგნობრივ ცნებებს, სასწავლო პროცესი საბუნებისმეტყველო საგნებში საშუალო საფეხურზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იგეგმება თემატურად,რომელშიც მუშავდება ყველა ცნება.**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მეორე სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია. ერთერთი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ სკოლისთვის მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. ურთიერთთანამშრომლობაზე დაყრდნობით სკოლა აპირებს დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები. ეს პროექტები შემუშავებული იქნება არა მხოლოდ საგნობრივი კურიკულუმების, არამედ არაფორმალური განათლების ფარგლებშიც. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სასკოლო საზოგადოების წევრებით. ჩატარდება გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგები გაანალიზდება და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. ყველას თავისი ფუნქცია და პასუხისმგებლობა ექნება, პასუხისმგებლობები და ფუნქციები სათანადოდ იქნება გადანაწილებული, ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. კურიკულუმის შემუშავების პრინციპებზე დეტალურად ისაუბრეს **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებელებმა. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, კერძოდ, ის რომ ისეთი კომპლექსური დავალებები აიღონ, რომლებიც მეტ დაინტერესებას გამწვევს მოსწავლეებში. ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე სასწავლო წლის დროს განხორციელებლი კომპლექსური დავალებების დროს შექმნილი მოსწავლეთა პროდუქტები, მოსწავლეთა თვითშეფასება, მასწავლებელთა უკუკავშირი,რაც მატერიალური სახით იქნა წარმოდგენილი კათედრის წევრების მიერ.საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის მოსწავლეთა ნაშრომები და ის სასწავლო მასალა ,რომელსაც იყენებენ ან ქმნიან ბავშვები საასწავლო პროცესის მსველელობის დროს . სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების აგროკლუბი და ქიმიის წრე,რომელიც წარმოადგენს მაგალითს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობისა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.მაგ მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დირექციას წინასწარ უთანხმდებიან რა ფინანსური საშუალება აქვთ სასწავლო მასალების შესაძენად,მშობლებთან ხდება გამოკითხვა როგორ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა რესურსების მოძიებაში ,კათედრის წევრები საგნობრივად ჯგუფდებიან და მოცემული საშუალებებით გეგმავენ კლუბში საგნის შიგნით ან საგანთშორის მათი სასკოლო თემისთვის საინტერესო აქტივობებს,რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს.მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა საპროექტო კონკურსებში და ხშირად დაფინანსებასაც მოიპოვებენ.**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მეორე სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით და სხვა. კურიკულუმის საბოლოო ვერსია გაზიარებული იქნება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, ასევე კლასების დახურულ ჯგუფებში და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. სკოლა ინფორმაციის გასაზიარებლად გეგმავს სკოლის ვებგვერდის გამოყენებასაც, რომელიც ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე ლოგიკურად შემიძლია დავასკვნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სხვადასხვა გზებით: ელექტრონული ფოსტა; - დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; - სოციალური მედია; - ბეჭდვითი მასალები; - საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მეორე სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საზოგადოებრივი ჩართულობის ამსახველი დოკუმენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- საბუნებისმეტყველო კათედის მუშაობის ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის;
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი;
- მოსწავლის შეფასება და მასწავლებლის თვითრეფლექსია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დასტურია სკოლაში არაფორმალური განათლების წარმატებული პრაქტიკა (აგროკლუბი, ქიმიის წრე, პროექტი „დედამიწა ჩვენი სახლია“, სამოქალაქო კლუბი „მომავლის გზა“, სხვადასხვა სასწავლო პროექტები), რაც მიმართულია გრძელვადინი მიზნების მისაღწევად ფორმალურ განათლებასთან ერთად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული ველი გაზრებულად აქვთ შევსებული. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება, არაფორმალური განათლების შეთავაზება მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებასა და პიროვნულ განვითარებას, გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სკოლას აქვს მზაობა, რომ პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. სასწავლო მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით(ცოდნა,უნარი,დამოკიდებულება),რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას საშუალო საფეხურზე.უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც . კერძოდ, **ინგლისური ენის** მე-10 კლასში, ქვესაკითხების ჩამონათვალი არასრულია და აკლია კონტექტ- მგალითები და მაგალითები შედარებისთვის; მე-11, 12 კლასებში არ იფარება ყველა ცნება; რუსული ენის ჩარჩოებში ბუნდოვანებაა ქვეთავების ჩამონათვალში და თითო ქვეთავი მიემართება თითოეულ ცნებას. ამასთან, ორივე უცხოურ ენაში, უმეტესად წარმოდგენილია ერთი კომპლექსური ბუნების მქონე დავალება რაც ვერ ფარავს სრულ თემას. მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. **აღნიშნული ხარვეზების შესახებ მიეცა რჩევა/რჩევები. კერძოდ, აისახოს ყველა ცნება ქვეთავების სრულ ჩამონათვალთან მიმართებით; კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთონ/შეავსონ ყველა კომპონენტი და მიუთითონ შესაბამის ველში; კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს შერჩეული თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი).** მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი იყოს პროცესზე ორიენტირებული და მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებელების მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწნებული თემები და საკითხები. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელებისას მოსწავლეები შექმნიან ისეთ პროდუქტს, რომელიც მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში დაეხმარება და მისცემს თვითგამოხატვის საშუალებას.**საბუნებისმეტყველო კათედრამ** წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით , სადაც სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, საკითხები,სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა წარმოდგენილი ცნებები, ქვესაკითხები. კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში თითო ძირეულ საკითხზე.კურიკულუმის ჩარჩოებში აღნიშნულია ძირითადი და დამატებითი რესურსები. პოზიტიური სასწავლო გარემოა სკოლაში ,რაზეც მიუთითებს კოლეგათა შორის თანამშრომლობა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების დაგეგმარებისას .ეს კი ხელშემწყობია მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებისათვის. ბიოლოგიაში ,ფიზიკაში და ქიმიაში სხვადასხვა კლასში მუშავდება სავალდებულო თემები ,თითო თემაში ყველა ცნება, საკიხთის ქვეშ კლასტერებია გამოყოფილი და უმეტეს კომპლექსურ დავალებებს ახლავს კონტექსტ -მაგალითები .**კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისათვის. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება, წერია სასკოლო სასწავლო გეგმაში. საშუალო საფეხურზე არ ირიცხება სპეციალური საჭიროების მოსწავლე, თუმცა გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები იცნობენ ინკლუზიური სწავლების მეთოდებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს დაგეგმავენ შესაბამისად. სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს მისი ინტერესებიდან გამომდიანრე და უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით, რაც დადებითად ასისახება სწავლების შედეგზე.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომს.მოგახსენებთ ,რომ ამ ეტაპზე საშუალო საფეხურზე არ ირიცხება სკოლაში სსსმ საჭიროების მოსწავლე.**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ქოუჩინგის დროს შექმნილი ყველა სგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. **საბუნებისმეტყველო საგნების** მასწავლებელებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს , რომ ძირითადად იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს , განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს და შეფასების რუბრიკას. ახალი სასწავლო წლისთვის ისინი შექმნიან სტანდარტის ინდიკატორებისა და სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს საბუნებისმეტყველო საგნების საშუალო საფეხურზე მუშაობისას. ამ ეტაპისთვის კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეფასების რუბრიკების, სადაც სწორად ჰქონდათ ასახული კრიტერიუმები და მოსწავლეთა მოლოდინები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებიან გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს.**უცხო ენაში** საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ორივე უცხოურ ენაში იკვეთება ბუნდოვანება ზოგიერთ კომპონენტთან მიმართებით. რუსული ენაში, მე-11 კლასში წარმოდგენილ რუბრიკაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი მკვიდრი წარმოდგენები და კრიტერიუმებში ნაკლებად დეტალურადაა აღწერილი თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან (და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან) მიმართებით; ინგლისურ ენაში, მე-11 კლასის რუბრიკაში არ არის ასახული ყველა ცნება და კრიტერიუმებიც ბუნდოვანია. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას , ინგლისური ენის მე-10 კლასის რუბრიკაში ბუნდოვანებაა კრიტერიუმებთან მიმართებით.რუსული ენის მე-11 კლასში წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში აღინიშნება მცირეოდენი ხარვეზები, თუმცაღა მთლიანობაში ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და მიმართულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებზე, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ინგლისური ენის მე-9 კლასში, რომელიც აკმაყოფილებს მეთოდურ ორიენტირებს და მიემართება მე-3 თაობის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით.რაც შეეხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების ანალიზს, კათედრას შემაჯამებელ ოქმში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილი აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს, მაისის თვეში. **რაზეც მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება მოახდინოს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.** მიუხედავად აღნიშნულისა, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და კომპეტენცია, რომ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გასაანალიზებლად მიზნობრივად აწარმოონ სადიაგნოსტიკო დოკუმენტი. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

5.კათედრებზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალსწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ სასწავლო პროცესს. მასწავლებელები კათედრებზე უზაიარებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, შედეგებზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. წამოდგენილი დოკუმენტაციით (მასწავლებელთა ურთიერთშეფასება, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბიკები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები) დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი და ეტაპები, რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა. გასაუბრებისას **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია საშუალო საფეხურზე სწავლისას წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, დაგეგმვის დროს ისინი იკრიბებიან და მსჯელობენ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ უფრო კარგი შედეგები აჩვენა ბავშვებში, რომელმა ნაკლები და ცდილობენ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნან/განაახლონ კურიკულუმები. სკოლამ მატერიალურად წარმოადგინა 2022-2023 წლის საგნობრივი კურიკულუმები და ახალი კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წელი. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი 2023 2024 სასწავლო წლის;
- კომპლექსური დავალება , მიმყვანი აქტივობები და შექმნილი პროდუქტი;
- მოსწავლის შეფასება და მასწავლებლის თვითრეფლექსია;
- შეფასების რუბრიკები-განმავითარებელი და განმსაზღვრელი;
- თემატური მატრიცა-კომპლექსური დავალებები და მიმყვანი აქტივობები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის, მასწავლებლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩართული სასწავლო პროცესში. საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში ; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა სიღრმისეულად ისაუბრეს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გასაღვივებელ აქტივობებზეც. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ , მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, მასწავლებლის წიგნებში მოცემული მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ავითარებს თანამშრომლობით სწავლას. როდესაც მოსწავლე მუდმივად გასცემს და იღებს თანატოლისგან დაუყოვნებლივ უკუკავშირს, ეს უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლობის გაზიარებას და ამაღლებს მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას. მასწავლებლებმა ასევე დააანონსეს, რომ მოსწავლეთა ინიციატივების წასახალისებლად საშუალო საფეხურზე დაგეგმილი აქვთ კლასგარეშე / სასკოლო თემატური ღონისძიებებიც. საერთო შეფასებით, კურიკულუმის გაცნობის და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაეხმარონ მოსწავლეებს მიიღონ როგორც სასკოლო, ისევე ცხოვრებისეული გამოწვევები და ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური თვითრწმენა. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** მასწავლებლებს თემის ფარგლებში ისეთი კომპლექსური დავალება შეაქვთ , რომლითაც მოსწავლე ამუშავებს ინფორმაციას ,ახორციელებს ინტერაქტიურ სწავლებას და ნაბიჯ -ნაბიჯ მიდის ცოდნის აგებისკენ სამიზნე ცნებების დამუშავებით. შემიძლია კურიკულუმის ჩარჩოდან გამომდინარე დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს პედაგოგებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი გახადონ მოსწავლეზე მეტად ორიენტირიებული. გასაუბრებამ აჩვენა რომ მოსწავლის მოტივაციაზე ზრუნვა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა მასწავლებლების ძირითადი ორიენტირია.სასწავლო თემების დაგეგმარებისას როცა მაორიენტირებლად აქვთ შუალედური (თემის ფარგლებში ძირითადი საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნები ,მასწავლებლები გეგმავენ მიმყვან ისეთ აქტივობებს,რომ მოსწავლე აქციონ შემოქმედებითად.ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი(ფიზიკის ქიმიის და ბიოლოგიის სასწავლო მასალები განთავსებული ჰქონდათ კარადებში) ექპერიმენტების ჩასატარებლად არსებული რესურსებით შექმნილია გარემო, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. სკოლაში ყოფნისას ვნახე მატერიალური სახით მოსწავლეთა ნამუშევრები,ძალიან საინტერესო იყო შექმნილი პროდუქტები . მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მართალია არ აქვთ საბუნებისმეტყველო ოთახი , მაგრამ სკოლაში ისინი ატარებენ მარტივ საკლასო ექსპერიმენტებს , ხოლო საგნით დაინტერესებული მოსწვლეები ჰყავთ კლუბში ან წრეში გაერთიანებული , სადაც შეუძლიათ ხანგრძლივი ექსპერიმენტების ჩატარება და კვლევითი უნარების განვითარება. პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ხშირად მოსწავლეებს საშინაო დავალების სახითაც აწვდიან ცდებს შესასრულებლად, რომელთა ნაშრომებს კლასში განიხილავენ.პედაგოგებმა ისაუბრეს,რომ კლასში ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს ,რადაგანაც სკოლის მატრიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა ამის საშუალებას.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას,** ***ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.წარმოდგენილი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტესად ისინი დავალების პირობის რელევანტურია და გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც საჭიროებს უფრო მეტ გამართულობას და სიცხადეს, თუმცა, უმეტესად ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. მაგალითად, რუსული ენის მე-10 კლასის ერთი დავალების პირობა ასეთია „ წარადგინე პრეზენტაცია თანამედროვე და მომავლის ტრანსპორტის სახეობების შესახებ“. ამ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, შეადაროს და ახსნას ნაცნობი და უცნობი მოვლენები და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების მიზნობრიობაც. კერძოდ, მათ ისაუბრეს კლასგარეშე / სასკოლო თემატური ღონისძიებებზე და სხვა თანამშრომლობით აქტივობებზე, რაც ეხმარება სასწავლო პროცესს მიუახლოვდეს მოსწავლის გამოცდილებას, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კურიკულუმების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება და რაც განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საშუაო საფეხურზე მოსწავლეებისთვის წინარე ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობა. მათთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყოველთვის იყენებენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მოსწავლეების გაარკვეულ გამოცდილებას . საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამოფენილი იყო საშაულო საფეხურის მოსწავლეთა ნაშრომები, რაც მომეწონა და უცილებელია აღინიშნოს, რომ კარგ პროდუქტს წინარე ცოდნის გააქტიურების გარეშე უბრალოდ ვერ შექმნის მოსწავლე. ასევე მიმდინარე წელს სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სასწავლო პროექტს,სადაც ყველა საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ (,,ჭკვიანი ფერმა'',,,ჯანმრთელობა უპურველეს ყოვლისა'' და ,,დედამიწა ჩვენი სახლია.“)**ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, *ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია***

3.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზისთვის შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში. ამ მიმართულებით, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევების გასაანალიზებლად კათედრას შერჩეული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმის წარმოება, რაც ეფექტურ სადიაგნოსტიკო ინსრუმენტს წარმოადგენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდგომი ეტაპისთვის. გარდა ამისა, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს საკვანძო შეკითხვების საშუალებით მეტაგოგნიციის განვითარებაზე და ასევე დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება ამ მიმართულებით. კერძოდ,მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითშეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობა მოსწავლეებს წაახალისებს და განუვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მეტად აპირებენ ჩართონ მოსწავლეები შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შემუშვების პროცესში, რათა მათთვის გამჭვირვალე იყოს, რას ითხოვენ მათგან და რაზე აქვთ მეტი სამუშაო. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას.ამ ეტაპზე **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა.მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიურებისას ,რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე მთელი სასწავლო წელი ზრუნავენ. მათისაუბრეს ,რომ სხვადასხვა აქტივობების დროს უსვამენ შეკთხვებს მოსწავლეებს - რა გამოუვიდათ კარგად და რა გაუძნელდათ მუშაობისას,მათ აღნიშნეს ,რომ მოსწავლეებიც მიეჩვივნენ თანატოლთა პოზიტიურ შეფასებას.მასწავლებელების თქმით ,სკოლაში არსებული წრე და კლუბი აღმოჩნდა ხელშემწყობი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ რომ გაზრდილიყო მოსწავლეთა ინტერესი.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,** ***მოცემული ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია***

4.სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. საბაზო საფეხურის **საბუნებისმეტყველო საგნების**(ფიზიკა,ბიოლოგია,ქიმია)კურიკულუმი წარმოდგენილია ჩარჩოს სახით და კარგად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე ორიენტირება. ინტერვიუში კარგად გამოჩნდა, რომ ესმით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატრიცების შაბლონებით და მასწავლებლის მეთოდური წიგნებით. 2023-2024 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მრავალფეროვანი პროდუქტები აქვთ გათვალისწინებული.მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე საკლასო და არაფორმალურ აქტივობებში ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და მოსწავლის ჩამოყალიბებას , რომელსაც შესწევს მიღებული თეორიული ცოდნა დააკავშიროს პრაქტიკულ ,ცხოვრებისულ მაგალითებს. მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს ,რომ უკეთეს შედეგს ღებულობენ, როცა მოსწავლეებს სთავაზობენ პროექტულ დავალებებს.**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული),** ***მოცემული ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებს კურიკულუმის ჩარჩოში აქვთ თემაში სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები წარმოდგენილი ,რითაც უზრუნველყოფენ პირობისეული ცოდნის შეძენას და მოსწავლის სხვადასხვა უნარების გაერთიანებით მათ გარდაქმნას შემოქმედებით არსებად.წინარე ცოდნაზე დაფუძნებით როცა მოსწავლე აგებს ახალ ცოდნას და ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტებს ,პრობლემური სიტუაციების ანალიზს ახორციელებს ,მოდელების შექმნას სწავლობს ,პოსტერების დამზადებას ახდენს ,ამით მისი თვითშეფასებას იზრდება და განწყობაც პოზიტიური ხდება სასწავლო პროცესის მიმართ.სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.ამ მიმართულებით სადამრიგებლო საათი, არაფორმალური განათლება (კლუბი და წრე) ხდება დამხმარე საშუალება მოსწავლეების განვითარებისათვის.ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ სწორედ მათი აგროკლუბისა და წრის პროგრამა მიმდინარე სასწავლო წელს შემუშავებული ჰქონდათ ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება,** ***მოცემული ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია***

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები პირველ და მეორე უცხოურ ენებში;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- რესურსი 12- უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი 2023 2024 სასწავლო წლის
- აგროკლუბის და წრის სამუშაო პროგრამა
- მოსწავლის შეფასება და მასწავლებლის თვითრეფლექსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საბუნებისმეტყველო კათედრის მუშაობის ანალიზი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[redacted] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და საკითხებს. ისმება საკვანძო შეკითხვები და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში შუალედური (საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა,) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლეების მიერ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სწავლებისას.**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ინდიკატორის 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. ამას ადასტურებს სკოლაში განხორციელებული აქტივობები, ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები, ღონისძიებები, პროექტები. (ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. სკოლამ წარმოადგინა რომ ,პროექტული სწავლება არის კათედრის ძლიერი მხარე და მას გამოიყენებენ მოსწავლის კოგნიტური და სოციო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ემოციური განვითარებისთვის,საგნის შესწავლით რომ უკეთ დააინტერესონ მომავალი თაობა.**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, ინდიკატორის2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.**საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის საგნობრივი კურიკულუმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები და ასევე მომავალი წლის კურკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით უნდა შექმნან შეფასების რუბრიკები, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარებას.სკოლამ წარმოადგინა ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში თითო ნიმუში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, რომლითაც უნდა იმუშაონ მიმდინარე სასწავლო წელს.გასული წლის შეფასების ფორმების სხვადასვა ნიმუშები წარმოადგინეს ადგილზე ვიზიტისას და გადმოაგზავნეს საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ინდიკატორის 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

4.კათედრაზე მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, მეტიც, მოსწავლეები თავად არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია.**საბუნებისმეტყველო კათედრის** მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ბიოლოგიის ,ქიმიის და ფიზიკის მიხედვით, სადაც აქცენტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რადაგანაც იციან კათედრის წევრებმა და ადმინისტრაციამ, აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს.მათთვის რუბრიკების შედგენისას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტია მთვარი ორიენტირი.**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, ინდიკატორის 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

5.პედაგოგებთან ინტერვიურებისა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმები. მეტიც ამ მექანიზმების დახვეწა მუდმივად მიმდინარეობს საკათედრო სხდომებზე პედაგოგთა მიერ.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სგნებში** სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში , შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევევაში ეძლევა რეკომენდაცია.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორის 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** კათედრის მიერ მოსწავლეთა ნამუშევარი მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამის თქმის პედაგოგებთან ინტერვიუ და მათი მზაობა ,რომ გამართული ჰქონდეთ დოკუმენტაციები მტკიცებულებების სახით.**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, ინდიკატორის 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- კომპლექსური დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ **დირექტორის მ/შ-ს ბრძანება 25/09/2023წ ბრძანება N01-03/55 ;**
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- 2023-2024 წლის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი
- საბუნებისმეტყველო კათედრის მუშაობის შემაჯამებელი ანალიზი
- მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა, საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში არის მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში სკოლის 2023- 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლის ხედვისას წარმოდგენილია ,რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში. ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას.ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სსსმ საჭიროების მოსწავლე.თანამშრომლობა მოსწავლე -მასწავლებელს,მასწავლებლებსა და ადმინისტაციას შორის ან მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა ძალიან გულწრფელი და პოზიტიური იყო.**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, ინდიკატორი2.2.3.1. დაკმაყოფილებულია**

2.მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს ყოველთვის ხდებოდა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების, ასევე ინიციატივების გათვალისწინება, რომლის დროსაც აქცენტი კეთდებოდა მოსწავლის პროგრესზე. რომლის დადგენაშიც ეხმარებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოსწავლეთათვის სხვადასხვა აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, უფრო მეტი კლუბების ჩამოყალიბებას და სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოდ რომ სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომაც.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში** დიფერენცირებული სასწავლო პროცესის წარმართვა ჩანს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტებით, რომელიც გამოფენილი ჰქონდა სკოლას დერეფნებსა და სამასწავლებლოში. სასწავლო პროცესში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი კომლექსური დავალებები, რომლებიც მათ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ინტერესებს მორგებულია. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს აძლევენ განმავითარებელ კომენტარებს, ასევე იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართებიან. მოსწავლეები ახალ ცოდნას წინარე ცოდნაზე დაშენებით აგებენ. მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტების მატერილური სახით ნახვა მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეებს უყალიბდებათ არა მარტო მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივი ცნებების მიმართ, არამედ პარალელურად უაქტიურდებათ ფუნქციურ -კომპონენტური უნარები, როგორიცაა მაგალითად შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება.მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები სკოლაში მიმდინარეობს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში-საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან აგროკლუბის წევრებიც, რომელნიც კლუბში მეურვეობას უმცროსსკლასელებს უწევენ. ასევე სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტიურად მუშაობს ქიმიის წრე ,სადაც საგნით დაინტერესებული მოზარდები გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს.**სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**
3.მასწავლებლის გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდებოდა წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ კონკრეტული სკოლის შემთხვევაში მოხდა კათედრების და მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება. რამაც გუნდურობა, თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახადა. გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავება-განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.წარმოდგინა სკოლამ „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს სხვადასხვა საგნმანათლებლო აქტივობების ორგანიზება და განხორციელება წარმოადგენს.**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ინდიკატორი2.2.3.3. შეესაბამება**
4.სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ერთობლივი მუშაობით მოხდა კურიკულუმის შემუშავება, თემების შერჩევა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები, აქტივობების (ფესტივალები, ზეიმები, ლაშქრობა, ექსკურსიები) დაგეგმვა მათი ჩართულობით, ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში არის პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

საბუნებისმეტყველო საგნის კათედრის ფარგებლებში მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიხატა ის აზრი, რომ კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებისთვის პედაგოგები მუდამ მუშაობენ და დადებითი ქცევის განმტკიცებისთვის მუდამ ზრუნავენ საბაზო ასაკის მოსწავლეებში. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან,რომლებიც აქტიურად ჰყავთ ჩართული შიდად სასკოლო ღონისძიებებში.არაფორმალური განათლების კუთხითაც აქტიურია სკოლა (იხილეთ სკოლის ფეისბუქგვერდი)რაც დადებით სასკოლო კლიმატს ქმნის. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *შეფასების მასალები;*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პრორცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.*
- *სკოლის მისია და ხედვა*
  2023-2024 წლის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი
- *საბუნებისმეტყველო კათედრის მუშაობის შემაჯამებელი ანალიზი*
- *სკოლის ფეისბუქ გვერდი აგროკლუბის და ქიმიის წრის შესახებ*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ამსახველი მასალები*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს, რომელიც კათედრის წევრების და დირექციის თანამშრომლობას მოიაზრებს. იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტის ისეთნაირი გაწერა, რომ მის საფუძველზე მოხდეს სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების მონიტორინგი განხორციელდება უფრო ინტენსიურად და შეფასება იგეგმება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**საბუნებიოსმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ,ასევე მისი განხორციელების პროცესში ხდება ურთიერთდასწრებები გაკვეთილებზე და მიღებული შედგების ანალიზი, უკუკავშირის მიწოდება ერთმანეთისთვის. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნა, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტიით ვლინდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საგნებში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე მუშაობენ.მასწავალებელებმა ისაუბრეს ,რატომ იყო მათთვის ურთიერთდასწრება მნიშვნელოვანი და წარმოადგინეს ურთიერთდასწრებისას მათი რეფლექსიები.

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტს.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

იმისთვის, რომ სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრა ეფექტურად განხორციელდეს აუცილებელია დიაგნოსტირების ჩატარება, პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევა. სკოლაში იციან, რომ მონიტორინგის მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც სკოლის თითოეულ წევრს ეხმარება ადეკვატური/ობიექტური შეფასებაში. ამგვარად შესაძლებელი ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება და სკოლამ შეუფერხებლად გააგრძელოს სასწავლო პროცესი. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში საასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. სასკოლო საზოგადოების მიერ მონიტორინგის და შეფასების სისტემა აღიქმება მხარდაჭერის მექანიზმად,რადგანაც ეხმარება სკოლას მიაღწიოს დაგეგმილ მიზანს.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას, ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტს.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი;*
- *სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი/დოკუმენტაცია.*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის სტრატეგიული გეგმა*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმა*
- *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიები*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[redacted] შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტური ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლა იყენებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსის გამოყენებით. 2023-24 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის შედგენისას პირველ რიგში, გათვალიწინებულია მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, დავალებების შერჩევისას. პედაგოგებმა, განსაზღვრეს სწავლების პროცესის დასაგეგმი თემები, შეარჩიეს კომპლექსური ბუნების დავალებები, სასწავლო პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი აქტივობები. საშუალო საფეხურზე შემუშავებული სასწავლო გეგმის ძლიერ მხარედ სასკოლო საზოგადოება მიიჩნევს ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ნაყოფიერ ჩართულობას. დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი; გასვლითი გაკვეთილები; შეარჩიეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტი, იყენებენ შეფასებისა და თვითშეფასების კითხვარებს. ამგვარი მიდგომა ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას სკოლა დასკვნებს აკეთებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს სწავლა სწავლების პროცესში მიმართვაენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას, მუდმივ ად თანამშრომლობენ მშობლებთან, მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება ხდება როგორც წერილობით მშობლებთან, ასევე ზეპირად, უკუკავშირისა და ზე პირი კომნტარების დახმარებით.

მიმდინარეობს კოლეგებს შორის თანამშრომლობა, როგორც კათედრაზე, ასევე კათედრებს შორისაც, სკოლაში კლასის დამრიგებელი წარმოადგენს ერთდაგავრ ხიდს მშობლებსა და მასწავლებელებს შორის. სკოლაში არსებობს ხარისხის მართვისა და შეფასების ჯგუფები, რომლ ებიც კრიტიკული მეგობრის ფორმატში აკვირდებიან კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით სკოლაში ინერგება პრაქტიკა კომპლექსური დავალ ებების დაგეგმვისა და განხორციელების კლასებში. გარდა ზეპირად გაზიარებული ინფორმაციის ასევე სკოლამ მოგვაწოდა სხვადასხვა დოკუმენტური, კერძოდ: შემუშავებულია უმეტესი საგნის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები. საერთოდ ვერ ვნახე მეთერთმეტე კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი. მოქალაქეობის გეოგრაფიისა და ისტორიის საქართველოს ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში/ებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ გრძელვადიან მიზნებს: (გლობალური ფუნქციური უნარებს (6 უნარი), მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და სტანდარტის შედეგებს). სკოლის მიერ გაზიარებულ იყო კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

კათედრაზე წარმოდგენილი ნიმუშების ძირეული შესწავლა და გასაუბრების შედეგები იძლევა საფუძლევს, რომ სკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ლა ფლობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის ტექნიკას, შინაარსობლივად სწორად აკონკრეტებს გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით შუალედურ მიზნებს, რომელსაც კიდევ უფრო დაკონკრეტებული სახით აღწერს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებში. სკოლის მიერ გაზიარებულ მასალებში მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის შედეგებსა და თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხთა კლასტერს. მაგალითად სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფსებაში გვ.52, ბმულის სახით მოცემულია, სასკოლო სასწავლო გეგმა სადაც გვ.30-დან გვ. 49-ის ჩათვლით მოცემულია შეფასების რუბრიკის ნიმუშები სხვადასხვა საგნის. ასევე კურიკულუმებს ერთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშებიც. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი ამოცანაა მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების, დავალებების შერჩევისას. გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: როგორ შეუწყონ ხელი მასალის სიღრმისეულ გააზრებას; როგორ მოახერხონ, რომ ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად; როგორ დაეხმარონ მათ პიროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინა ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

2023-2024 სასწავლო წელს იგემება საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა“ ზეპირი გასაუბრების დროს მასწავლებელმა გააზიარეს ინფორმაცია, რომ ისინი აწარმოებენ შემაჯამებელი წერების ანალიზს, ასევე ინტენსიურად ახორციელებ კომპლექსურ დავალებებს. ხდება ურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თიერთდასწრება. წარმოებს კვლევები, კათედრაზე მუშაობის დროს მასწავლბლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლეთა მ იღწევებს და საჭიროების შემთხვევაში ხდება სასკოლო კურიკულუმში მოცემული ცვლილებების განხორციელება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე მომცა შესაძლებლობა გამეგო რომ მასწავლებლები ს აკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. კერძოდ: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. მოცემული ინფორმაცია შეგვიძლია ამოვიკითხოთ სკოლის მიერ გაზიარებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმის საბაზო ს აფეხურის ყველა საგნის ჩარჩო ცხრილებში, რომლებიც უმეტესად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, უმეტეს შემთხვევაში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები. ასევე თემატური მატრიცების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების შედეგები გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. მაგრამ იმისთვის რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიღწვების სრულად გაზომვა საბუნებისმეტყველო საგნების, აუცილებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება. კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმეტი, განმსაზვრელი და განმავითარებელი შეფახების რუბრიკების საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. საშუალო საფეხურის ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნების ცნებების დაფარვის ხარისხი .პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საშუალო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. ხდება შედეგების ანალიზი, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, სოციალური ქსელი

დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემთა შესაგროვებლად **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგები, ძირითადად იყენებენ მოსწავლეთა ტესტირებას, ინტერვიურებას მოსწავლეებთან, ფოკუს -ჯგუფებთან მუშაობას სკოლის ბაზაზე. პედაგოგებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს , რომ ეს პროცესი ძირითადად რაოდენობრივ მეთოდის გამოყენებით წარიმართება.

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლაში შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ სკოლას აქვს როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებული, იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, ასევე მემუშავებულია და გაზიარებულია სასკოლო პროექტები, მასწავლებლი ს პოტფოლიო, სკოლას აქვს გაზიარებული კათედრის ოქმები, რაც მიანიშნებს როგორც მოსწავლეთა მიღწევებზე მასწავლებლის დაკვირვებას უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე თვითონ სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას მასწავლებლები აანალიზებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორები, მოსწავლეათა ინტერესები, მოსწავლეების მონაწილეობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, აქტივობების განხორციელების პროცესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები. სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ტარდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მშობლებისა და მოსწავლეების მოსაზრებების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები, სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტები, საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა და ჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შეთავაზებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას არამარტო კლასის, არამედ სკოლის დონეზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების საშუალო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ მთელი რიგი გარე ფაქტორები, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში სხვადასხვა ფაქტორი გაითვალისწინოს.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ინდიკატორი2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტს.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგისა განხორციელებული შეფასების ანალიზი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი საშუალო საფეხურის 2023-2024 სასწავლო წლის
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებების დამუშავებაზე(გრძელვადიანი სასწავლომიზნებზე ორინტირება). მათ აქვთ გამოცდილება სწავლების თითოეულ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს , სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში.

იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტს.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტს.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი საშუალო საფეხურის 2023-2024 სასწავლო წლის

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზოიძე მელანო

ტოტოჩავა ხათუნა

ჯვარიძე მარიამ

წიკლაური ხათუნა

ნანა ნიკოლაშვილი

მზია დადვანი

მეგი კაპანაძე

ლელა მანგოშვილი

მადონა ბობოხიძე

მურად ფახურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---